

# საბავშვო კულტურა



1928

სახეცვლილი

№ 22

# დოქტორთა დასავლეთის კომარაგზ.



როგორც უოველ ჩვენგანმა იცის, ჩვენ შეუძლება გვაქვს აღებული ვიურტემბერგის (გერმანია) ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებს. ნუ დაგვაფიქვდება, რომ დასავლეთის ჰიონერებს აუტანელ ჰირობებში უხდებათ მუშაობა და ბრძოლა.

სიმატელე უნდა ითქვას, რომ ჩვენი მათთან კავშირი ჯერ კიდევ სათანადო სიმატელეზე არა დგას, ამ მხრივ განსოველებული მუშაობის წარმოებას საჭირო. მართალია, ვებსარებით დასავლეთის ჰიონერებს, როგორც იდეურად, ისე ნივთიურად, მავრამ ეს წვეთია ზღვაში.

სასელგამის ახალგაზრდათა სექტორმა დაადგინა: საბავშო ჟურნალების („ჰიონერი“, „ოქტომბრელი“, „კარმიწილი“ და „კინილ-შეუფე“) თვიური ჰონორარი — 450 მანეთი — გადარიცხულ იქნეს ვიურტემბერგის ბავშთა კომჯგუფებისათვის, ამხანაგური დახმარების სახით.

ჟურ. „ჰიონერის“ № 21 ჰონორარი 115 მანეთი უკვე გადაგზავნილია ვიურტემბერგში. ეს გააკეთეს „ჰიონერის“ თანამშრომლებმა.

## გამოწვევები

უოველ ჰიონერ-კოლექტივს ან სკოლას, რომელნიც გამოიწერენ ერთი წლით ოც ცალს „ჰიონერს“, ჟურნალი დაეთმობათ 20 % ფასდაკლებით.

ამხანაგებო, მოჰკიდეთ ჟურნალის გავრცელებას სელი!

ვიწერ ჟურნალ „ჰიონერს“ ვიწვევ შეძლეგ ამხანაგებს ალ. ჯაფარიძის სასელობის მე-2 კოლექტივიდან:

ი. როსტომიშვილს, დ. ისტინიშვილს, ა. ჰავლაშვილს, ვ. იაკაშვილს, ვ. მოდრეკილაძეს, თ. ზასიაშვილს, მ. მკერვალიძეს, ქ. მაცაბერიძეს, ს. რაჟიანიშვილს ა. ქაჯიას, დ. ჭიჭინაძეს, ა. გონგაძეს, ს. ჯანშიაშვილს.

მე-2 კოლექტივის ჰიონერი **თათა მაილოვი.**

ვიწერ ჟურნალ „ჰიონერს“ და ვიწვევ შეძლეგ ამხანაგებს მე-9 შრომის სკოლიდან: ირაკლი სენიაშვილს, სერგო ჩარკვიანს, იურა მეკრელიშვილს, ალექსანდრა ნემსაძეს, კოლა მანგილაძეს, ილია კახიშვილს, გიორგი მაღლაკელიძეს და მკალაბდიშვილს.

## ალექსანდრა არაბილოვი.

ამს. გ. ჯაძის გამოწვევით ვიწერ ჟურნალ „ჰიონერს“ ორი თვით და ვიწვევ შეძლეგ ამხანაგებს მე-9 შრომის სკოლიდან: ვალენტინა დოლონაძეს, ქეთო ლაბაძეს, სულიკო ქავთარაძეს, მალვა კასრაძეს, მაგდალინა დვალს, თამარ გუნიას, გიორგი ლომიძეს, ნინო ჯანაშვილს და ვლადიმერ სვანიძეს.

## არჩილ მუსიკა.

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. დილა (ლექი)—კ. ლორთქიფანიძე . . . . .	2.	8.	აფრიკის ტყეებსა და ველებში . . . . .	14.
2. შემოდგომა სოფლად (ლექი) — მ. კაკაბაძე . . . . .	2.	9.	როგორ აკეთებენ კინო-სურათებს — შანი . . . . .	16.
3. ხეველი დათულა — ი. ჩხაიძე . . . . .	3.	10.	რად გვესაჭიროება ჩვენ ქიშია — ხანი . . . . .	17.
4. განისი თავგადასავალი — მათე-ზალკა . . . . .	6.	11.	ჰიონერების ცოცხალი საქმეები . . . . .	19.
5. პატარა ტრაქტორისტი — ს. ერთაშვინდელი . . . . .	9.	12.	იშვიათი მოვლენები — შ. თ. . . . .	22.
6. ღრის მესახებ — უნდა სწერონ ბავშვებმა — ალ. სულავა . . . . .	11.	13.	როგორ კეთდება წიგნი — ნ. უტიკოვი . . . . .	23.
7. მოსწავლე პიონერების ცხოვრებიდან — ედგარ შმერლინგი . . . . .	13.	14.	თამაშობანი . . . . .	25.

საქართველოს საბავშვო  
ტფილისი  
საჯარო ბიბლიოთეკა

3-47-

# პიონერები

1928


30 ნოემბერი

საქართველს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს (საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრს) და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველდების უფროსი ბავშვებისათვის

წელიწადი III  
№ 22



პიონერები სკოლის ეზოში აგროვებენ რკინის ნამტვრევებს.



დილით,  
როცა განთიადი  
აელვარებს ფანჯრებს წითლად,  
გამოვდივარ  
აივანზე,—  
ტანს ვიზელავ  
ცივი წყლითა.

ვარჯიშობით  
გავაფხიზლებ  
ნამძინარევ ტანს და სახეს;  
ჯანს ჩავიღვამ,  
შევიმატებ  
სიმკვირცხლეს და სითამამეს.

შეგკრებ წიგნებს,  
გაკვეთილებს  
გადავხედავ ერთხელ კიდევ;  
ვისაუბრებ,  
მერე სწრაფად  
მხრებზე ჩანთას გადვიკიდებ.

გზად გავუვლი ამხანაგებს,  
გადავძახებ.  
„ჩქარა, ჩქარა“,  
და ყველანი  
სიმღერებით  
გაუუდგებით სკოლის შარას,

რომ ვისწავლოთ  
და ამ სწავლით  
გავახაროთ მათი თვალი,  
ვისაც ჩვენთვის  
ბრძოლით, სისხლით  
უყიდია მომავალი.

კ. ლორთქიფანიძე.

## უაგოდგომა სოფლად.

ბერავს მსუბუქი ქარი,  
ხიდან ფოთლები ცვივა;  
ტიტველი მთა და ბაოი  
თვალებს ედება ცივად.

მიჭრის ფრინველთა გუნდი  
სამხრეთისაკენ მწყობრად;  
მოჩანს მერცხლების ბუდე  
სახურავიდან ობლად.

ზოგჯერ წვიმასაც ურევს  
ზამთრის დამდეგის დარი;  
გააქვს ჭრიალი ურმებს,  
სავსეს სიმინდის ტარით.

გადალევწილა ყანა  
მშრომელ გლეხების ხელით;  
ქარი უგალობს ნანას  
მოსავლით სავსე ხმელეთს.

ქოხში ფურცლავენ სიმინდს  
ახალგაზრდები თბილად;  
იქვე ჩონგურის სიმებს  
უკრავს ბაბუა ტკბილად.

მ. კაქამაძე.

# საზველი დათუღს

მთხრობა

ჯერ კიდევ არ გათენებულიყო, რომ ხეველი გლეხი ფარნაოზი ადგა, ფანჯრებთან მივიდა, გარეთ გაიხედა. ისევ წვიმდა. ხევში ჩამოწოლილ ნისლს ქარი მორევით ატრიალებდა.

დასავლეთის ქარი რისხვით აწყდებოდა შენობის კედლებს.

ალიონი იყო. შემკრთალი ღამე თრთოდა დღის მოახლოებით. ეძინა ხეველ გლეხკაცობას. ეძინა მათ ცოლშვილს. მხოლოდ მამლები არ ასვენებდნენ მიდამოს. ფარნაოზი ფანჯარასთან იდგა, რაღაცას ფიქრობდა. ბოლოს დაბლა ფერდობებს ქვემოთ მიმავალ მდინარეს გადახედა. მდინარე არ იყო აღიდებული. მღვრიე ტალღები დაუდგვარის სიძლიერით ეხეთქებოდა მთის წვეროებიდან ჩამოცურებულ ლოდებს და ქვემოთ მიემართებოდა შფოთვით და გუგუნით.

— მდინარე არ არის აღიდებული. მთაში თოვს. ხელსაყრელი პირობებია. დათვზე ნადირობა შეიძლება, — გაიფიქრა ფარნაოზმა, შემოტრიალდა, გადახედა საწოლებს. საში ლოგინი იდგა, ყველას ეძინა. ფარნაოზმა გაიფიქრა:

— ეს ბიჭი გამომადგება დათვისთვის ხაფანგის დადგმაში. უნდა გავაღვიძო. — მიუახლოვდა ერთ მათგანს:

— ბიჭო, ნიკო!  
ნიკო შეიშმუშნა.

— გაიღვიძე, დათვზე სანადიროდ მიედივარ! — ყველას გამოეღვიძა. ბავშვები თვალებს ისრესდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ:

- მამა დათვზე სანადიროდ მიდის.
- მამა, მეც წამოგყვები.
- მამა, ჩვენც წავიყვან? წავიყვანე, რა!
- არა, პატარა ეშმაკუნებო, თქვენ რა გინდათ იქ.

აი, ხვალ დილით დავიჭერ დათვს და ნახავთ.  
— მამა, როგორ? — ეკითხებოდნენ ბავშვები.  
— ფარნაოზმა ჩაახველა.

— აი, შვილებო, მიყურეთ და გაიგებთ. — ადექი, ნიკო, ნუ ზარმაცობ — მიუბრუნდა ფარნაოზი უფროსს. ლოგინის ქვემოდან გამოიღო რაღაც რკინა, შემდეგ ჯაჭვები გამოათრია.

ყმაწვილები ლოგინებიდან თვალის დაჭყეტით უმზერდნენ მამის მოქმედებას.

ფარნაოზმა მომართა ხაფანგი.  
— აბა, მიყურეთ, შვილებო, — ხელში დიდი ჯოხი დაიჭირა. — აი, თითქოს მე დათვი ვარ. ხომ გესმით, რასაც გეუბნებით. აი, აქ ხაფანგი მოგიწყვიათ თქვენ. აქ კიდევ თქვენი ყანები არის მომწიფებული. აქ დიდ მუხანაზებუკები არის, ფუტკარი რომ ბუღობს შიგ. მოდის დათვი. უნდა სიმინდი და თაფლი მიირთვას. მოდის აი

ასე, — დაიწყო ფარნაოზმა გაუგებარ ენაზე რაღაც ღრიალი, დათვსავით აბაჯბაჯდა. ყმაწვილები სიცილით ძალმისხილნი მიწვენ ლოგინებზე. ნიკოსაც სიცილით გული მისდიოდა. ფარნაოზი მიუახლოვდა ხაფანგს, ჯოხი დაადგა ენაზე. იგრილა რკინებმა და ფარნაოზის დათვისებურმა ღრიალმა მთელი შენობა აახანჯარა.

გარეთ ძაღლებმა გააბეს ყეფა, მამლებმა ყივილი შესწყვიტეს, საღდაც სტვენა გაისმა.

— რამ გაგაგიჟა, ადამიანო, რას ღრიალებ? — შეუტია ქმარს ნახევრადგამოღვიძებულმა ცოლმა.

პატარები კისკისებდნენ.

— აი, დასწყევლა ეშმაკმა. აკი გამასულღელეს ამ ჭინკებმა მოხუცი კაცი. მალე, ნიკო, მალე მოემზადე.

ფარნაოზმა ოთახის კარი გააღო. შიგ ცივი ქარი შემოგრილდა. ყმაწვილები ლოგინებზე მიიყუყუნენ. გარეთ წვიმდა. ნიკოც მოემზადა, თოფი აიღო და გარეთ გავიდა.

— წავიდეთ — შემოსძახა ოთახში მამას. ფარნაოზმა აიღო ხაფანგი, გადიკიდა ზურგზე და მამა-შვილი გაეშურა საყანეებისაკენ.



მამა და შვილი გაეშურა საყანეებისაკენ.

კარგად შეთენებულზე მათ საყანეებამდე მიაღწიეს, ფრთხილად დაათვალიერეს სიმინდები. სწორედ იმ ღამეს დათვს გაენადგურებია ყანა. ფარნაოზი კარგახანს ხმას არ იღებდა. მიწა ერთიან აეტალახებია დათვს, როცა უგორავს მასზე. სიმინდის ტაროები ირგვლივ იყო გაბნეული.

— ბიჭო, ნიკო, მიდი მუხის ძირთან, ეგებ სასკეც დაუნგრევიან მამა გასატიალებელს, — მიმართა ფარნაოზმა

შვილს, თვითონ კი ხევე ჩავიდა. აქ პატარა რუს პირად უნდა დაედგა დათვისთვის ხაფანგი. ნიკო მალე დაბრუნდა.

— არა, მამა, ხელი არ უხლია.

ნიკო მიუახლოვდა ფარნაოზს და დაუწყო თვალყურის გდება. ფარნაოზმა ხაფანგი დასდო და ზემოთ ამოვიდა. გრძელ წვერზე ხელი ჩამოისვა, ამოიღო სათუთუნე და ჩიბუხის წვევა დაიწყო. მერე ნიკოს მიმართა.

— ნიკო, ამაღამ დათვი ჩვენია...

ნიკოს გაეცინა და იკითხა:

— როგორ?..

ფარნაოზმა ხელი გაიშვირა მალლა მთებისაკენ. წვიმას ნაწილობრივ გადაეღო. აღმოსავლეთი შეწითლებული მოჩანდა. ქარი ისევ ჰქროდა.

— აი, ხედავ, შვილო, მთებმა ბურუსი როგორ აირეკა. ეს კიდევ წვიმის ნიშანია. აი ხედავ, როგორ ჩამოთეთრებულა თოვლით მწვერვალები? ჰო და ახლომახლო ფერდობებზე თოვლ-ჰყავი იქნება. დათვს კი ეზარება თოვლ-ჰყავი. ზამთრობით, როცა მთებში დიდი თოვლი ძვეს და ყინვებია, დათვი მშრალად წევს ბუნავში და თათებს ილოკავს. მაშინ მისი ბუნავი მშრალია, ეხლა კი იქ წყალი იქნება ჩამდგარი. ამიტომ ბრაზობს დათვი და აოხრებს ყველაფერს. მე ნამდვილად ვიცი, ამაღამ კიდევ წამომაჯდება ის ოხერ-ტიალი აქეთ. მაგრამ სეირსაც ნახავს, — სთქვა ფარნაოზმა და ცოტა ხნის შემდეგ მან და ნიკომ შინისკენ გასწიეს.

II

ფარნაოზის სიტყვები გამართლდა: დილას ისევ წვიმდა. მთელი დღე მთის ფერდობებს და სოფელ ხევს გაძაფრებული ქარი თავს დასტრიალდებდა. სასოფლო შარავნები ატალახდა. პატარა ჩიტები გუნდებდა დაფრინავდნენ.

ფარნაოზი მთელი დღე იჯდა ცეცხლის პირად. თხილისა და წაბლის ტოტებისაგან წნავდა კალათებს და თან უყვებოდა ბავშვებს რალაც ამბავს.

ბავშვებიც ეხმარებოდნენ მამას, ბასრი დანით სწმენდდნენ წაბლის ტოტებს.

პატარები ერთობოდნენ ფარნაოზის ლაპარაკით.

ერთი საშვალო ტანის ბავში კოლა, ცეცხლის პირად ჩამჯდარი, ხის ტოტებისაგან აგებდა სახლს.

— ამ სახლში დავამწყვდევ იმ დათვს, მამა რომ დაიჭერს.

დაღამებისთანავე დაწვა ფარნაოზის ჯალაბობა. ეძინა თითქმის ყველას. ასე მოსჩანდა გარეგნულად, ნამდვილად კი არ ეძინა არცერთს, გარდა ფარნაოზის ცოლისა.

ნიკო ავადმყოფსავით ტრიალებდა ლოგინში. სიხარულმა ძილი დაუკარგა: მას სჯეროდა, რომ ხვალ დილით დათვი დახედებოდა ხაფანგში გაბმული.

თვალვებდახუჭული იწვა ფარნაოზი, მაგრამ არ ეძინა.

III

ხევი მთის სოფელია, ის ძვეს აჭარა-გურჯისტანის მთათა კალთებზე. თავისი ბუნებრივი სილამაზით ეს ნაწილი არაჩვეულებრივია მთელ გურჯიაში. მისი მალალი მთები ზამთარში დაბურულია თოვლით, ზაფხულში მწვანე ნაძვის, სოჭის, ცაცხვის და დაბლობებში წაბლის ხეებით.

ჩიტის ოდენად მოჩანს ზაფხულობით თამბაქოს პლანტაციები, სიმინდის ყანები და ამ ყანებში მომუშავე ადამიანი.

დაბლა ხევი წევს, და ხევის შუა ნაწილი ვაჭარულია ვია მოზრდილს და მოუსვენარ მდინარე გუბაზროლს. ხევი ჩამორჩენილი იყო წინეთ, დღეს კი იქ არის სკოლა, სახალხო სახლი, კომკავშირის უჯრედი, პიონერთა კოლექტივი.

შვიდი თუ რვა წლის წინ იქ უბრალო ღუქანიც არ მოიპოებოდა. ხეველი გლეხები მაშინ ნადირობით ცხოვრობდნენ და ზღაპრებით ერთობოდნენ.

ერთ დღეს ერთი მონადირე დათვზე სანადიროდ წავიდა ტყეში. მონადირეს ერთი ადგილიდან, გზის მახლობლად, ხმაურობა შემოესმა. დაინახა დათვი, დაუმიზნა თოფი..

— არ მომკლა, — შემოესმა ადამიანის ხმა. გაბრაზებულმა მონადირემ გამოათრია მოზრდილი ბიჭი ხევიდან და გამოიგდო წინ. არავინ იცოდა მისი ვინაობა. ზოგი მას „უკანონო შვილს“ ეძახდა, ზოგი კიდევ თათარს. ზოგს კიდევ ოხუნჯობით სახელად დათულ დაერქმია. იგი ძლიერ გავდა დათვს, მისი ლაპარაკი დათვის ბუტბუტსა ჰგავდა.

ათი წლის თუ იქნებოდა და ოცი წლის ჭაბუკის შეხედულობა ჰქონდა. დადიოდა დათული მთის ყანებში, ამტვრევდა სიმინდს და სჭამდა.

— რაღა დაგვემართა, ძმაო, რომ ვერ მოვიშორეთ ეს წყეული დათულიე ჩვენი სოფლიდან. პირდაპირ გააჩანავა ყანები მაგ მართლა დათვმა, — ამბობდნენ მის შესახებ.

— არ ვარგვართ, ძმაო, თვარა მაგ ბიჭიდან მართლა კაცი გამოვა, — იტყოდა მეორე და განაგძობდა, — მიკვირს, რათ ვერ ამჩნევთ თქვენ. აბა ერთ ტყვილს თუ იტყვის ის საბრალო. სულ ცემით რომ გაასივო, ერთ სიცრუეს ვერ ათქმევინებ.

დათული ღამ-ღამობით დადიოდა სიმინის ყანებში და სიმინდს სჭამდა.

ფარნაოზმა რომ ხაფანგი დაუგო დათვს, იმ ღამესაც დაეხეტებოდა მთებში დათული და ფიქრობდა, ვის ყანაში შეპარულიყო ნედლი სიმინდის ტაროებისათვის.

ბუნების მიმშვიდებას თითქო ემოქმედნა ფარნაოზზე და ნიკოზე — აღიონისას ორივეს მისძინებოდა. მოულოდნელად ფარნაოზს სახარელი ღრიალი ჩავსმა ყურში. ძილს თავს ვერ ართმევდა. ემზადებოდა გამოსადგიძებლად. შორეული ღრიალი კი უფრო ძლიერი ძალით ედებოდა სოფელს. ღრიალი ხშირად ბლავილით იცვლებოდა, ბლავილი კიდევ მგლის ყმულით.

ფარნაოზმა დაახწია ძილს თავი, შეშლილსავით წამოიჭრა, ნიკოს მიაყვირა:

— ბიჭო, ნიკო, ჩვენ ხაფანგში დათვი გაება ნამდვილად.

— ნამდვილად! — შეღრიალა ნიკომ და ისიც წამოიჭრა. პატარებმაც წამოყვეს საწოლიდან თავი, დაიწყეს ხტუნაობა. ნიკომ საჩქაროდ მონახა ხანჯალი, თოფი ფარნაოზს გადასცა და გაიჭრენ გარეთ.

გამოედვიდა სოფელს. რამდენიმე ათეული ხეველი გლეხი წაღლებით ხელში გამოუდგა საყანებისაკენ მიმქოლავ ფარნაოზსა და ნიკოს. არ წვიმდა. შეთენებული იყო.

ფარნაოზი ყველაზე ადრეან მიიჭრა ხაფანგის მახლობლად, ვეებერთლა მუხის ტანს მოეფარა, მოზიდა თოფი, შეაყენა. იმ ადგილს დაუმიზნა, საიდანაც სახარელი



პიონერები ასწორებენ ადგილს ახალ საბავშვო სპორტ-მოედნისათვის (3 რაიონი).

ღრილის ხმა მოისმოდა. ფარნაოზი ხედავდა ბუნდოვანად, რაღაც რომ იზღაზნებოდა. ფარნაოზს ვერ გაერკვია, თუ რა იყო ხაფანგში გაბმული — მგელი თუ დათვი. ამიტომ არ ისროლა თოფი.

ამ დროს გლეხებიც მოვიდნენ, ნიკოც. რამდენიმე გლეხმა ნიკოსთან ერთად მოუარა ხეცს. ზემოდან გადმოდგენ. შიშით გაუბედავად გადაიხედეს ხევში და ის მიდამო საერთო სიცილმა დაფარა.

— ვესროლო?! — დაიქუხა ფარნაოზმა. თვალებიდან ცეცხლი გადმოანთო. თოფი უფრო მაგრად მოზიდა.

— ფარნაოზ, ფარნა, არ შესცდე, არ ესროლო, დათვი კი არა, ჩვენი დათული გაბმულა შენს ხაფანგში.

ფარნაოზი გაბრაზდა და თოფი დაუშვა. გლეხები დაბლა ჩავიდნენ. დათული, ხაფანგში მარჯვენა ფეხით გაბმული, გაათავისუფლეს. დათულის სისხლი სდიოდა მარჯვენა ფეხიდან, მაგრამ არ სტიროდა, კბილებს ახრჭიალებდა, მორჩილად მიყვებოდა გლეხებს.

რამდენიმე დღის შემდეგ სოფლის აღმასკომმა უპატრონო დათული მაზრას გადაუგზავნა.

IV

გავიდა რამდენიმე წელი. ფარნაოზი მოხუცდა, წამოიზარდნენ ბიჭები. ყველა სწავლას მოითხოვდა ღარიბი მამისაგან. ზოგი კიდევ იყო სოფლის 7-წლედში. უმცროსები პიონერები გახდნენ, საშვალონი კიდევ კომკავშირლები. კოლა, რომელსაც წელს დაემთავრებია შვიდწლედი, სწავლას მოითხოვდა. ღარიბი მამა უარზე იდგა.

მაგრამ კომკავშირმა მოუხერხა კოლას ყველაფერი. თემკომის მდივანმა მისცა მოწმობა ფარნაოზს და ურჩია შეიღოს ქალაქისკენ გაჰყოლოდა.

— როგორ მივალდებინო ჩემი კოლა ქალაქის სკოლაში, გზა არ ვიცი, კვალი არ ვიცი, — წუწუნებდა აღმასკომის კარებთან ფარნაოზი.

— რათ გეშინია, ფარნაოზ, — დინჯად ეუბნებოდა გლეხს თემკომის მდივანი — მიდი, შე კაი კაცო, ქალაქი საგიჟე ხომ არ გგონია. გაიკითხე, ყველაფერს გეტყვიან. შვიდწლედი დაუმთავრებია შენ შეიღს. ის თავად გაირკვევს გზას, სრულებით არ სჭირდება შენი გაყოლა. ჩვენი მიცემული ქალაქი კი არა აქვს მაგას მართო, მაზრიდანაც ეძლევა მოწმობა. ასეა. წელს შენ შეიღს ვგზავნით, გაისათ კიდევ სხვისას გავისტუმრებთ. ყოველივე ეს წინასწარ გათვალისწინებული გვაქვს. და-

საბნევი არაფერია. თუ წაყვები, ნიხვალთ იქ, ნახავთ გამგეს და ის გაარიგებს ყველაფერს. მორჩა და გათავდა საქმე.

— კეთილად და კარგად გამყოფოსთ, ჩემო ძმაო, თქვენმა სიმართლემ. — დაილოცა ფარნაოზი და გააწია შინისკენ.

წავიდნენ ფარნაოზი და კოლა ქალაქში. მოხუცი გლეხის წინაშე უცხო სანახობანი გადაიშალა. სადგურ ნატანებიდან დაწყებული ტფილისამდე იდგა ფარნაოზი პირდაპირი და ყველაფერს ათვალთქვებდა.

ტფილისში გადმოვიდნენ მგზავრები. გადმოყვა მათ ფარნაოზიც თავისი კოლათი.

— მამა-შვილობას, მითხარი, ხომ არ იცი... — მიმართა ფარნაოზმა მილიციონერს, რა უნდა ეკითხნა, ის კი დაავიწყდა, კოლას მიუბრუნდა — ანახე, ბიჭო, შენი მოწმობა ამ კაცს. კოლამ ხელნაწერი გადასცა უცნობს. უკანასკნელი წინ წაუძღვა სოფლიდან ჩამოსულს და დიდ შენობას მიადგენ.

— აქ არის — ანიშნა მილიციონერმა და გაბრუნდა.

ფარნაოზი მივიდა, შენობის წინ დადგა და არ იცოდა საით წასულიყო. მოულოდნელად აივანზე ვიღაც ზორბა ვაჟი გამოჰყვა სხვა ახალგაზრდებს. ისინი მოდიოდნენ სიცილით და ხმაურობით. ფარნაოზი დააცქერდა, რაღაც მოაგონდა. ახალგაზრდამ შეამჩნია მოხუცი, დააცქერდა.

— ფარნაოზ, გამარჯობა! ფარნაოზი შეკრთა.

— ფარნაოზ, ვერ მიცანი? მე დათული ვარ...

— დათული? რომელი დათული? — დააცქერდა ისევ, მოაგონდა, შეხტა გლეხი. — ბიჭო, შენ ის დათული ხარ, ხაფანგით რომ დაგიჭირე? მოდი, ბიჭო, მაკოცე... დათული... დათული...

დათული ჩაეხვია ბერიკაცს.

— რას აკეთებ, დათული, აქ, შვილო?

— ვსწავლობ, ჩემო ფარნაოზ. მუშფაკში ვსწავლობ... შენ ხაფანგში გაბმამ გზა გამიკვლია. ესეც ჩემსავით ხაფანგში დანატყრი ხომ არ არის, ფარნაოზ? — კოლაზე მიუთითა დათულიმ.

ფარნაოზმა ყოველივე უამბო დათულის. დათულიმ წაიყვანა მამა და შეიღი მათი საქმის მოსაწყობად.

# ჭანსის ქაფჭანდუსჭანი

მ ო თ ხ რ ო ბ ა\*)

## X.

ის ამბები, რომელიც უკვე ხდებოდა მხარეში, თავისებურ გამოხატულებას პოულობდა სკოლაშიც: აქაც დაირაზმა დაიბოთა და მდიდართა პარტიები და მათ შორის ბრძოლა და შუღლი გაჩაღდა.

ერთ დღეს დიტრიხი, სახანავით შეიარაღებული, თავს დაესხა პატარა ლეოს, რადგან მან ოდესღაც ბურჟუა დაუძახა მას. ამ შემთხვევამ ძლიერააღელვებავს. ჰანსმა წამოისროლა ლოზუნგი, რომ ყველა მათი მომხრე შეკრებილიყო ხიდან გაკვეთილების შემდეგ. ისინი შეიკრიბნენ იქ და დიტრიხს დაუწყეს ცლა.

შეხვედრისას ბავშვები ეცნენ ერთმანეთს, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ერთ მათგანს თავი გაუსისხლიანეს. ჩხუბი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ პოლიციელი არ ჩარეულიყო საქმეში. მაგრამ საქმე ამითაც არ გათავებულა. დიტრიხის მამა მეორე დღეს მოვიდა სასწავლებელში და მასწავლებელთან საბჭოს უამბო ყველაფერი. დანიშნეს გამოძიება.

- ჰანსი შენ ხარ, არა?
- დიახ, მე ვარ, — უპასუხა ჰანსმა.
- ცნობ თავს თუ არა დამნაშავედ, რომ ჩხუბის მეთაური ხარ?
- არა. ჩხუბის მეთაური თვითონ დიტრიხია, რომელმაც გაგვილახა ლეო.
- ჰანსმა გამგეს არცერთ შეკითხვაზე არ უპასუხა პირდაპირ.
- გამგე ძლიერ გაჯავრდა და ოთახიდან გამოაგდო ჰანსი, მეორე დღეს კი იგი მთლად დაითხოვეს.
- როცა ეს ამბავი გაიგო ძია იოგანმა, ის შეეკითხა ჰანსს:
- კარგად თუ გალახე მაინც ის ძაღლის შვილი?
- არა უშავს, გვარიანად, — უპასუხა ჰანსმა და ორივემ გაიცინა.

## XI

ოთხი წელი — საკმაო დროა. ამ ხნის განმავლობაში ჰანსი გაიზარდა. ცოტა სიმაღლე მოემატა და სახეზე წვერიც ამოუვიდა. მაგრამ საერთოდ გარეგნულად ისევ მოუხეშავი იყო. სამაგიეროდ სიღინჯე მოემატა. იგი შეუყვარდა ჰამბურგის მუშა ახალგაზრდობას, რომელთა შორის კარგა ხანია მუშაობა დაიწყო. იგი კომკავშირის ორგანიზაციის წევრიც გახდა. ცხოვრობდა ყოფილ მეზღვაურ მარტინთან, რომელიც ახლა მუშად იყო და ერთ საუკეთესო კომუნისტად ითვლებოდა. პატარა პავლე ასოთამწყობი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ჟურნალისტობაზე ოცნებობდა; ის ითვლებოდა კომკავშირის ორგანიზაციის წევრად და მუშაობდა, როგორც შეეძლო.

## XII

იქ დროს, როცა შემოდგომის ნისლიანი დღეები იწყებოდა და ქალაქის ქუჩები ხშირი წვიმებით სველდებოდა, — ახალი მოძრაობა ახლოვდებოდა. ჰამბურგის ბურჟუაზიული გაზეთები ყოველდღე იმის შესახებ სწერდნენ, რომ „კომუნისტებმა დაქსაქსეს გერმანია“, „საქსონია არ ემორჩილება ბერლინს“.

ჰანსმა კარგად იცოდა, რომ ეს გაზეთები სტყუროდნენ და ამიტომ ენერგიულად ავრცელებდა მათ საწინააღმდეგო ფურცლებს, რომლებსაც თარულად ამზადებდა კომუნისტური პარტია.

ამ ხანებში ბერლინიდან ჩამოვიდა პავლეს, რომელმაც ჰანსს შემდეგი უთხრა:

— კიდევ რამდენიმე დღე — და ბერლინი აუცილებლად იფეთქებს. ფრანგი კომუნისტები მხარს გვიჭერენ, რურში რევოლუცია აუცილებლად იქნება.

— ბერლინის კომკავშირი რას აკეთებს? — იკითხა თავის მხრივ განსმა.

ამ ხნის განმავლობაში მარტინიც წავიდა ქალაქიდან პარტიის დავალებით და როდესაც დაბრუნდა, უთხრა ჰანსს:

\*) იხილეთ „პიონერი“ № 19.



— იცი, ჰანს, კელის მეზღვაურები კიდევ მზად არიან დაღვარონ სისხლი, ყველგან გაცხოველებული მზადებაა შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ამ ხანში ჰანსი ხშირად დადიოდა ქალაქის ცენტრისაკენ. მას დაჰქონდა წერილები და ინსტრუქციები. ერთხელ ერთ-ერთი ასეთი წერილი მას გადასცა ძია იოვანმა დავალებით, რომ ფრთხილად ყოფილიყო.

— გახსოვდეს, რომ ეს ბარათი მეტად საყურადღებოა. აქ აღნიშნულია იმ საწყობების ადგილები, სადაც ჩვენი იარაღი ინახება.


ჰანსი ჩაფიქრებული მიდიოდა, გაიარა რამდენიმე უბანი და ის იყო უნდა ჩამჯდარიყო ტრანკაიში, რომ უცებ ხელი სტაცა მას ვილაცამ. მოიხედა

როცა ჰანსი შინ დაბრუნდა, ეს ამბავი უამბო ძია იოვანს; უკანასკნელმა უთხრა: აწი არ ვარგხარ მუშაობისათვის, როგორც ჩანს, უკვე გიცნობენ; ცოტა ხანს არ უნდა გამოჩნდე ქუჩებში.

XIII.

იმ დღეს ნასადილევს გადაწყვეტილი იყო შეიარაღებული გამოსვლა. საღამოსათვის ყველამ იცოდა, რომ ბავარიისში წითლებმა უკვე დაიჭირეს დრეზდენი. შემდეგ მოვიდა ცნობა, რომ ბერლინში ბრძოლა დაიწყო.

მოსალოდნელი ბრძოლის გამო, მარტინი ისევ გამოეწყო მეზღვაურის ტანსაცმელში და შეიარაღდა შაშხანით. საღამოს ცენტრიდან ჩამოვიდა ერთი ამხანაგი და მოიტანა ბრძანება, რომ გათენებისას



მ ე-58 შრომის სკოლის პიონერებმა და მოწაფეებმა 128 კილო რკინის ნამტვრევები შეაგროვეს.

და დაინახა ძია იოვანის ძველი ნაცნობი პოლიციელი, რომელსაც ფაშისტური ჟანდარმის ფორმა ეცვა.

— რა გინდა ჩემგან? — აუღელვებლად დაჰკითხა ჰანსმა მას.

ამ დროს გამოჩნდა მეორე პოლიციელი, რომელმაც უბრძანა:

— გაჩხრიკეთ საჩქაროდ!

ჰანსმა სწრაფად ჩაიდვა ბარათი პირში და ლუკმასავით დაღეჟა. პოლიციელი აენტო სიბრაზისაგან და ყელში წააგლო მას ხელი.

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, რომ იქ არ გამოეგლოთ მუშებს და ჰანსი არ დაეხსნათ პოლიციელების ხელიდან.

ჰამბურგის მუშებს მოეწყოთ აჯანყება. კილის სამხედრო ნავსადგურში დიდხარბაზნებიანი გემები იდგა.

ღამით ყველგან პატრულები დადიოდნენ. პოლიციელები და ფაშისტური ჟანდარმები არსად არ ჩანდნენ.

მთელი ღამის განმავლობაში თოვდა და წვიმა მოდიოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა.

ძია იოვანი მტკიცედ იცავდა კონსპირაციას, სამჯერ გამოიცვალეს სამხედრო შტაბის ბინა.

რევოლუციონერების ბანაკი დიდი მოძრაობა იყო. რომდენიმე ასი კაცი საწყობებიდან იარაღს იღებდა. ჰანსი არიგებდა ტყვიებს და შაშხანებს. მას მთელი ღამე არ დაუძინია. გათენებისას ის იყო ჩაეძინა, მაგრამ რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა.

— ჰანს, რა დროს ძილია!..

— რა იყო?

— უკვე ბარიკადებს ვაშენებთ!

ჰანსი გაჰყვა ამხანაგს.

ქუჩაში ხალხი ირეოდა, მართლაც, ბარიკადებს აშენებდნენ. ზღვიდან ისმოდა სამხედრო გემების ყვირილი. უცებ კუთხეში გამოჩნდა მოტოციკლეტი. ჰანსმა გადაუჭრა გზა და მიაძახა:

— შეჩერდი!..

— ჰანს, ეს შენ ხარ?

— ოჰ, პავლე, საიდან!

— ბერლინიდან, სად არიან ჩვენები, სადაა შტაბი?

— შტაბი მუდმივ იცვლის ბინას.

— რაა ახალი?

— გამოვდივართ ეხლა, მაგრამ...

— მარტინი უნდა ვნახო, გამოსვლა უნდა შევაჩეროთ.

ჰანსს თვალთ დაუბნელდა. ნუთუ ისევ მოსალოდნელია დამარცხება! პავლე კი ისევ გაქროლდა მოტოციკლეტით. ჰანსს არ სჯეროდა ვაგონილი, მაგრამ როცა დაინახა ზღვა ხალხი დროშებით, აღფრთოვანდა. მარცხენა მხრიდან სროლა ისმოდა. გამოსვლები ქალაქის ცენტრიდან დაიწყო. სხვებთან ერთად ისიც გაემართა იქეთ, მაგრამ უცებ თვალი

მოჰკრა პოლიციელების შეიარაღებულ ჯგუფს, იცნო მათ შორის მსუქანი ვილიც და ფრიც დიტრიხიც. ისინი მათ უთვალთვალდებდნენ. ჰანსმა სწრაფად მოიხსნა ქამრიდან ბომბი და ხელში დაიჭირა.

დაინახეს თუ არა ჰანსი, ფრიცმა წამოიძახა:

— ჰაა, სად ჩამივარდი ხელში!

მაშინ ჰანსმა გადაადგო მათკენ ბომბი.

ბომბი გასკდა და საშინლად აფეთქდა. ჰანსს თვალებზე კვამლი მოეხვია და რაღაც ტკივილიც იგრძნო, მაგრამ აშკარად დაინახა ისიც, რომ მოწინააღმდეგე მხრიდან ვილაც წაიქცა. ქუჩაში საშინელი ხმაური ასტყდა.

— გაუმარჯოს პროლეტარიატს!— უნდოდა დაეყვირა ჰანსს, მაგრამ პირი გაუშრა, ღონე მიეღია და ძირს გადაეშვა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, სამი კაცი ერთად მიაწვინე!— დაიყვირა ვილაცამ მის ახლოს. ჰანსთან მოცვიდნენ. მოვიდა ძია იოვანიც. ის პირველად გაფითრდა, მაგრამ შემდეგ მოიხადა ქუდი და წყნარად სთქვა:

— ამხანაგებო! ჰანსმა მოიხადა თავისი ვალი!..

მატე ზალკა.



ტფილისის ელექტრო-მექანიკურმა ქარხანამ (ტემზა) მიიღო მე-58 შრომის სკოლის შეფუბა, ამ სკოლის მოწაფეები ყოველდღე მიდიან ქარხანაში და სხვადასხვა



# პასანა სნაქსონისტი



მ თ ხ რ ა ბ ა

1

კვირადღე იყო...

მზე უკვე კარგად მალლა აცურებულყო ცის ლურჯ თალზე. ამწვანებულ ველებს ფირუთვალა ია ლამაზად შეენოდა. მთებს მწვანე ხავერდის ქულაჯა ჩაეცვათ, რომელსაც ჩანჩქერები ვერცხლის ქამარივით ევლებოდნენ, და ტყე კი კოხტა ქოჩორივით აშლოდა თავზე. ვენახში ყურძნის მტევნები ქარვის მძივებად ეკიდა.

ლობის ძირში მოლიკლიკე რუ ხევში ყირას გადადიოდა; სოფელი დოვლათის მოლოდინში ხარობდა...

იქ, სადაც ეხლა ქობ-სამკიანხელოა, ორლობის თავში, წყაროსთან, ხალხი შეკრებილიყო და ყურს უგდებდა თავმჯდომარის საუბარს...

გოგიაც თან ახლდა მამას.

ის თავისი ჭკვიანი თვალებით ათვალეირებდა ყველას და ყურს უგდებდა, ვინ რა ამბობდა.

— მიწის არცერთი ნაჭერი არ უნდა დავტოვოთ და-  
ოთესავი. რომელ ადგილზეც რა თესლი იხეირებს, ისეთი უნდა დავთესოთ. უფრო კი პური, სიმინდი და, საქონლისთვის, სამყურა, იონჯა და სხვა ნოყიერი ბალახეულობა, რადგანაც როგორც ადამიანს, ისე საქონელს უნდა კარგი კვება, რომ მსუქნად იყოს, ღონივრად იმუშაოს, კარგი რძე, კარაქი, ყველი, ხორცი, ტყავი და მატყლი მოგვცეს ჩვენი მრეწველობისათვის. ასე სჩადიან უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში... უნდა შევეჩვიოთ აგრეთვე კულტურული მცენარეულობის მოყვანას: ქარხლის, რომელიც გამოსადეგარია როგორც ადამიანისათვის, ისე საქონლის გამოსაკებად და შაქრის გასაკეთებლად; მოგზავნით აგრეთვე მიწავაშლა, კართოფილი, ჩაი, თამბაქო, ბამბა, ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, ლუფა, კენაფი და სხვა... — დაიწყო აგრონომმა.

— მერე და, კარგი, მაგრამ ამ სუსხიანმა ზამთარმა რომ სულ გამიწყვიტა საქონელი, რიდათი დავამუშაო მიწა? — შეეკითხა პაპა და ჩიბუხს დაუწყო მოკიდება.

— მთავრობამ უკვე გადასდო თანხა ღარიბ გლეხობისთვის მუშა-საქონლის შესაძენად; და როგორც ეხლა აგრონომმა გითხრა, ისე უნდა მოიქცეთ... საქონელი გაწყდა უქმელობით და როცა მათთვისაც გვექნება მომარაგებული საკვები, ზამთარი ვერაფერს დააკლებს; ამის გარდა, მთავრობამ საგლეხო და ინდუსტრიალური სესხის ობლიგაციები გამოუშვა, ის ყველამ უნდა შევიძინოთ, რადგანაც ისევე ჩვენვე მოგვხმარდება; იმით მთავრობა შეიძენს და გააკეთებს სასოფლო-სამეურნეო იარაღებს (აქვე

ააგებს ქარხნებს), ისინი კი შემოგვექონდა საზღვარგარეთიდან, ოქროზე, და ეხლა აქვე დატრიალდება ის თანხა... ჩვენ ამ ძველებურ, მამა-პაპურ კავ-სახნისით მიწის დამუშავებას თავი უნდა დავანებოთ და გაუმჯობესებული იარაღებით დავიწყოთ ხენა...

ჩაერია აღმასკომის მდივანი, კომკავშირელი მიხა.

2.

— უნდა შეიძინოთ ტრაქტორი! და სხვა ახალი მანქანები: სათესი, სამკელი, სანიავებელი; ერთი სიტყვით, თუ ქალაქი ჰყვავდება, მრეწველობა წინ მიდის, არც სოფელი უნდა ჩამორჩეს, და მეურნეობა უნდა ავაყვავოთ, რომ ჩვენი პოლიტიკურად და განათლების დარგში გამარჯვება გლეხის ეკონომიური სიძლიერით დავვირგინდეს.

განაგრძობდა მიხა.

— ერთი პატარა გუთანი ვერ მიყიდი, და ტრაქტორის სამყოფი ფული ვინ მომაქვავა?

ალაპარაკდა გოგიას მამა.

— ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ნათქვამია, და სწორედ ამისათვის თქვენც უნდა შეერთდეთ რამდენიმე კომლი ერთად, ამხანაგობა შეადგინოთ და ერთიანი ძალით, კოლექტიურად დამუშაოთ მიწები. მაშინ არ გაგიჭირდებათ მანქანების შეძენაც, მით უმეტეს, რომ ხელისუფლება ყოველ შეღავათს გაძლევთ...

— ისეა გამოფიტული ეს ჩვენი მიწები, რომ რალა უნდა მოვიდეს შიგ? — წამოიძახა ქვრივმა სალომემ და ის იყო უნდა წასულიყო, რომ თავმჯდომარემ შეაჩერა:

— უნდა გავანოყიეროთ საქონლის ნაკელით... — უთხრა მან.

— საქონელი თუ არაა საკმაო, ეს ნაკელი საიდან-ღა იქნება? — აბუზლუნდა სალომე.

— მაშინ ხელოვნური სასუქი უნდა შევიტანოთ და იმითი გავანოყიეროთ. მიწა დაღლილია, მასაც სჭირია დასვენება; ამ წელს თუ პურს დასთესო, საგანსოდ უნდა დაითესოს სიმინდი, ანუ საქონლის საკვები ბალახეულობა და ასე... ან დროვამოშვებით არაფერი სთესოთ... ყოველწლივ თუ დაითესება, მაშინ მიწა უნდა მოლონიერდეს სასუქის შეტანით... ყველა თესლეული უნდა იყოს გადარჩეული და ნაწამლი, რომ არ შეჰყვეს ღვარძლი და სხვა არასასურველი მარცვლეულობა... და თუ როგორ, ამაზე ამხანაგი აგრონომი გეტყვით, რომელსაც უნდა მიმართოთ ხოლმე რჩევა-დარიგებისათვის.

ხალხი სმენად იყო გადაქცეული.

აგრონომი უხსნიდა, როგორ დაერგოთ კულტურული მცენარეულობა, როგორ შეეერთებინა ღარიბ და შავსა

ლო გლახობას თავისი მიწის ნაკრები, როგორ და რა ეთესათ, რა დროს და სხვა...



პიონერი ესაუბრება გლეხებს.

3

— ვინც მომხრეა შევაერთოთ ჩვენი მიწები, შევამხანავდეთ, გამოვლით აქეთ, — სთქვა გოგიას მამამ და გავიდა განზე.

- მე!..
- მე!..
- მე!..

გაისმა აქეთ-იქიდან და მრავალი ამოუდგა გვერდში, მხოლოდ რამდენიმე ბობოლა, შეძლებული გლეხი წავიდა და წინააღმდეგ, რომელთათვისაც სრულიადაც არ იყო სახეირო ღარიბი გლეხების შეერთება, რადგანაც ეს საქმე მათ ძირს უთხრიდა სოფელში...

ბობოლა კაკო ბევრს ეცადა ჩაეფუშა ეს საქმე და ეცადა ზოგიერთი გლეხის მომხრობასაც-კი, მაგრამ გოგიას მამა სოსო შეება...

— შენა, კაკო, ჩვენ ძველ თავადზე უარესი ხარ ეხლა... ის ძლივს მოვიშორეთ თავიდან და ეხლა შენა გსურს წამოგვაჯდე კისერზე? ველარ მოგართვია!..

— მართალს ამბობს მამაჩემი... — ჩაერია გოგია, რამაც გლეხობის წახალისება და გულიანი სიცილი გამოიწვია.

— ჰე, მოგხვდა, კაკოლი?

— ეხლა ბავშვმაც კი შეიგნო ჩვენი კეთილდღეობის საჭიროება, და შენ გზა-კვალს გვიბნევ?

უკივლეს აქეთ-იქიდან.

— აი მაგის ჭკუაზე გატარათ, აჰა! — უთხრა ბობოლამ და ბუტბუტით გაბრუნდა.

— ყოჩაღ, პიონერო! — წამოიძახა სიამით აგრონომმა და თავზე ხელი გადაუსვა გოგიას.

— ეს ბავში ჩვენი სოფლის თვალთ, კომუნის ყვავილია და ჩვენ არც მოგტყუდებით, თუ ამის ჭკუაზე ვივლით. — გაისმა ახალგაზრდა გლეხის ხმა, როცა გოგიამ გამოცდილ ორატორივით დაიწყო ლაპარაკი იმ ამბების შესახებ, რაც კი გაეგონა სკოლაში მასწავლებლისაგან და პიონერთა კოლექტივში...

სოსო სიხარულისაგან ფეხზე ძლივს იდგა, რომ შვილმა ასახელა ხალხში და მეორე დღესვე ჩაუდგა ამხანაგობას სათავეში...

4.

— მასწავლე, ძია ანდრო, ტრაქტორზე მუშაობა... შეეხვეწა გოგია.

ეს იყო მაშინ, როცა სოფელი შეუდგა უკვე აყვავებას, შეიძინეს ტრაქტორიც და მეორე კვირასვე შეუდგენ მინდვრების დამუშავებას.

ამუშავდა „რკინის ხარი“, როგორც აქ ეძახდნენ ტრაქტორს.

გოგია არ ეშვებოდა მეტრაქტორეს და სთხოვდა მისი მართვა ესწავლებინა.

— შენ ჯერ პატარა ხარ და, როცა გაიზრდები, მაშინ... — ეუბნებოდა ის ლიმილით.

— მერე და, რა არის, რომ პატარა ვარ?.. განა აპიტომ არ შემიძლია ტრაქტორისტი ვიყო? მე მინდა ვისწავლო და დავეხმარო ამ ახლად შემდგარ ამხანაგობას, — არ იშლიდა გოგია და სულ თან დასდევდა.

— კარგი, ამოდი. დაჯექი... თუმცა შენი პატარა ღონე საჭეს ვერ მოუვლის, მაგრამ მე დაგეხმარები. — მიუგო ანდრომ, გოგიას კარგი განზრახვით წახალისებულმა, და გვერდზე მოისვა.

— ვნახოთ, იქნება შევძლო! — უთხრა გოგიმ და მარდად ახტა ტრაქტორზე.

— აი, ჯერ მიყურე, თუ როგორ ვიმუშავებ, და შეეჩვევი... — არიგებდა ტრაქტორისტი და თან ასწავლიდა მართვას.

— მე ხომ მშრომელის შვილი ვარ, ძია, პიონერი, მე ხომ უნდა ვიცოდე ყველაფერი, მე ხომ მოვდივარ უფროს მებრძოლთა ნაცვლად?! — ეუბნებოდა გოგია და თან ეჩვეოდა.

ტრაქტორისტი გაკვირვებული იყო ბავშვის ჭკვიანური მსჯელობით და ხალისით ასწავლიდა...

5.

და იმ ჩამორჩენილ სოფელს, რომლის მწირნიადაგზეც ნახევარი წლის სარჩოც ძლივს მოდიოდა უწინ, ეხლა, კულტურულად, კოლექტიურად დამუშავების შემდეგ, უკვე დიდი მოსავალი ელოდა; იმ მიუდგომ ადგილებზეც კი, სადაც თხები თუ ავიდოდნენ მხოლოდ, ეხლა სხვადასხვა კულტურული მცენარეულობა ჰყვავოდა, და რა ამხანაგობამ სანერგეში შეიძინა სხვადასხვა სანერგე ლერწები, კოპერეტივში სასუქი „სოფლის კავშირში“ თესლეული, შესასხურებელი წამლები და შეუდგა გაშენებას, სოფომ გოგიას სურვილს გაუწია ანგარიში და რამდენიმე ძირი ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალიც, აგრონომის რჩევით, ბოსტანში დარგო.

გოგია შველოდა ხოლმე დედას ბოსტანში მათ მოვლას, ვიდრე აქ იყო...

ისე კი სულ ტრაქტორზე იყო და ისე შეეჩვია, რომ ხშირად ტრაქტორისტი მართო სტოვებდა მას.

ამხანაგობა ძლიერდებოდა, ის ამ მხარეში სამაგალითო შეიქნა და ბევრმა სოფელმა მიჰბაძა მას.

ტრაქტორმა გადახნა ამხანაგობის მინდვრები და ახლა ქირაზე გავიდა მეზობლების მიწების გადასაბრუნე ლად...

— მე ტრაქტორისტი ვარ! — გადმოსძახებდა ხოლმე გოგია, საჭესთან მჯდარი, და ამაყად გადმოხედავდა ხოლმე ტოლ-ამხანაგებს, რომლებიც „რკინის ხარის“ გუგუნს ყრიათულით მოსდევდნენ...

ს. ერთაწმინდელი.

# რის შესახებ უნდა სწავრობდნენ ბავშვები.

ყველა პიონერმა და ბავშვმა, რომელიც კი კითხულობს ჩვენს ჟურნალს, კარგად უნდა იცოდეს, თუ რანაირი ხასიათი აქვს ჩვენ ჟურნალს და ვის ინტერესებს ემსახურება იგი.

ცხადია, რომ ჩვენ ჟურნალში დაბეჭდილი ყოველი მხატვრული მოთხრობის, ლექსის, თუ წერილის მიზანია — მისცეს რაიმე საზრდო ყველა იმას, ვისაც სერიოზულად აინტერესებს ჩვენი ცხოვრების გაგება, ცოდნისა და სწავლის მიღება.

ჩვენი ჟურნალი სწორედ ამას იძლევა, მაგრამ საქმე ამით არ თავდება. თუ ჟურნალი გარკვეულად ემსახურება ბავშვების ინტერესებს, მასში უნდა იბეჭდებოდეს ბავშვების ნაწერები, იმაში მხურვალე მონაწილეობას უნდა იღებდნენ თვითონ ბავშვები.

ისმება საკითხი: რა მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბავშვებს ჟურნალში? რასაკვირველია, უმთავრესად, კორესპონდენციების მოთავსება, თუმცა არიან ისეთი ბავშვები, რომლებიც ლექსებსა და მოთხრობებსაც სწერენ. აი, სწორედ ეს ბავშვები უნდა იყონ მუდმივი და აქტიური მონაწილენი თავისი ჟურნალისა, მით უმეტეს, როცა ჟურნალი მათ მუშაობას დიდად აფასებს.

უდავოა, რომ ჟურნალის რედაქცია ყოველთვის დიდი ინტერესით ეპყრობოდა და ეპყრობა ბავშვების ნაწერებს, მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, ბავშვების მონაწილეობა და კავშირი ჟურნალთან საერთოდ სუსტია. რასაკვირველია, ამის მიზეზი ბევრია. მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ბავშვებმა მჭიდრო კავშირი უნდა გააბან „პიონერის“ რედაქციასთან.

ამიტომ საჭიროა ყოველ პიონერს და ყოველ ბავშვს ახსოვდეს, რომ მათი მონაწილეობა ჟურნალში აუცილებელია და საჭიროა — ამის მეოხებით შეიძლება პიონერები გაეცნონ ერთმანეთის მუშაობას და ცხოვრებას.

არიან, ცხადია, ისეთი ბავშვები, რომელთაც კარგად აქვთ გათვალისწინებული და შეგნებული ჟურნალში მონაწილეობის მიღების ამოცანები. მაგალითად, პიონერი გ. ჯამუშანური სწერდა იმის შესახებ, რომ უნდა გაძლიერებულიყო ჟურნალში ბავშვების მიერ მონაწილეობის მიღება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ მას, მიუხედავად იმისა, რომ მთიელთა საბავშვო სახლში ცხოვრობს, ერთი წერილიც არ გადმოუცია რედაქციისათვის იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ და როგორ ცხოვრობენ იქ.

უბედურება სწორედ ისაა, რომ ბავშვები არ სწერენ და არ გზავნიან კორესპონდენციებს, საჭიროა კი არის, რომ ჩვენ გვყავდეს არა ერთი ან ორი ბავშვი კორესპონდენტი, არამედ ბევრკორთა წრეები.

საჭიროა ამიერიდან მაინც ახსოვდეს ყოველ ჩვენს მკითხველს, რომ არ კმარა მარტო ჟურნალის კითხვა, არამედ საჭიროა მასში საკუთარი ცხოვრების და ყველა იმ საკითხის შესახებ წერა, რაც კი შეადგენს ჩვენი მუშაობის და მოქმედების ამოცანებს.

მაგრამ რანაირად შეიძლება ეს?

აი ის საკითხი, რომელიც აუცილებლად მტკივნეულია. ხშირად ბავშვებმა არც კი იციან, თუ როგორ შეიძლება ჟურნალში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ეს კიდევ არაფერი — უმეტესობამ არ იცის ხშირად, თუ რის შესახებ უნდა სწავრობდნენ.

ბავშვობის შეუძლია, — და აუცილებელიცაა, — სწავროს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეზე, მუშაობის იმ საკითხებზე, რომელსაც ის ეწევა, მაგალითად, პიონერ-კოლექტივში, სკოლაში, კლუბში, ოჯახში, ბანაკად ყოფნის დროს, სოფელში და სხვა მთელ რიგ საზოგადოებრივ საკითხებზე.

ასე, მაგალითად, ჩვენი ჟურნალის მსგავს ჟურნალ „პიონერ“ და ორკვირეულ გაზეთ „პიონერსკაია პრავდა“-ში, რომლებიც რუსეთში გამოდის, ბავშვების დიდძალი წერილი და კორესპონდენცია იბეჭდება და რა საკითხზე გინდათ, რომ არ სწერდნენ შიგ ბავშვები: სკოლაში ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელების, ცხელი საუზმის, კედლის გაზეთის, ამა თუ იმ მასწავლებლის მუშაობის, სკოლის კოოპერატივის, ხელმძღვანელის, სკოლაში არანორმალური მეცადინეობის, მოწაფეების ყოფა-ცხოვრების და სხვა უამრავი საკითხის შესახებ. მაგ. ამასწინათ ბავშვებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს კამათში, რომელიც ნ. კრუპსკაიას პიონერებისადმი მოწერილ „ღია წერილის“ გამო გაიმართა პიონერული გაზეთის ფურცლებზე.

კრუპსკაია პიონერებს იმ ბრალდებას უყენებდა, თითქოს ისინი ცუდად სწავლობენ და ცუდ ყოფა-ქცევას იჩენენ. ბავშვები საკუთარი სკოლის და ამხანაგების მაგალითებზე ამტკიცებდნენ, თუ რამდენად შეფერებოდა ეს სიმართლეს და სხვ.

მაგრამ ვნახოთ მაინც, რანაირი ხასიათის წერილებს სწერენ რუსი პიონერები თავის გაზეთებში, რომ ჩვენც მივეჩვიოთ ამავე საკითხებზე წერას. მოვიყვანოთ მათი კორესპონდენციების სათაურები:



მთიელთა საბავშვო სახლში გამგე ბავშვებს სასწავლო ნივთებს ურიგებს.

„ვაწარმოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია“, „რას აკეთებენ ჩვენი ფორპოსტები და მოწოდებები“, „კოლექტიური კითხვის შესახებ“, „მოვაწყეთ ცხელი საუბრეები“, „ასეთი მოსწავლეები არ გვინდა“, „ჩვენი კოლექტივი სუსტად მუშაობს“, „შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ“, „გამოუშვით კედლის გაზეთი“, „დავეხმაროთ ამხანაგებს“, „გავაუმჯობესოთ დისციპლინა“ და სხვ.

ერთი სიტყვით, რუსი პიონერები და ბავშვები, როგორც ხედავთ, სწერენ ყველაფერზე — წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე, კულტურულ ლაშქრობაზე, ფორპოსტებზე, ცხელი საუბრეების შესახებ, სკოლაში დისციპლინის გაუმჯობესებაზე და სხვა.

რაზე შეგვიძლია ვწეროთ ჩვენ?

რასაკვირველია, ასეთსავე საკითხებზე.

განა ჩვენს პიონერ-კოლექტივებში, სკოლებში, ოჯახებში, კლუბებში ყველაფერი ისე რიგზეა, რომ არ შეიძლებოდეს რაიმე ნაკლებ ან, პირიქით, მიხწევებზე წერა? ეს კი ბავშვობის პირდაპირი მოვალეობაა.

დროა, პიონერებო და ბავშვებო, ისწავლოთ კორესპონდენციების წერა, გააბათ რედაქციასთან მჭიდრო კავშირი (მისამართი ასეთია: **რუსთაველის პრ., № 22, სახელგამი. ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია**). მოიწერეთ, თუ როგორ მუშაობს თქვენი კოლექტივი, როგორი კავშირი აქვს თქვენი სკოლის

დემონსტრაციაში, როგორია პიონერების დამოკიდებულება მასწავლებლებთან, როგორ ემზადებიან საბჭოების გადარჩევაზე მონაწილეობის მისაღებად. როგორ დგას ოქტომბრელებთან მუშაობის საკითხი. მოეწყობთ თუ არა თქვენს სკოლაში ცხელი საუბრეები, რა საჭირო იმისათვის, რომ თქვენს კოლექტივში კარგი მუშაობა სწარმოებდეს, რა უშლის ხელს, რომ არ გამოდის კედლის გაზეთი, რას აკეთებენ პიონერები შეუკავშირებელ ბავშვებს შორის, ვინ აღვივებს თქვენს სკოლაში ეროვნულ შუღლს, რომელი ხელმძღვანელი არ ვარგა, როგორ მუშაობს თქვენი მშობელთა წრე ან მოწაფეთა კომიტეტი, როგორ ებრძვიან ბავშვები რელიგიას, რა მონაწილეობა მიიღო თქვენმა კოლექტივმა სოფლად კოლმეურნეობის საკითხის გადაჭრაში და სხვ.

ყველა ეს ისეთი საკითხებია, რომელთაც არ შეიძლება არ ჰქონდეს ადგილი ჩვენს სინამდვილეში. საჭიროა ამ საკითხებისადმი მეტი ყურადღებით მოპყრობა, მათი შესწავლა, დაკვირვება და შემდეგ ადვილი გახდება წერაც, წერას კი, და, რაც უმთავრესია, საკუთარ ჟურნალში თანამშრომლობას, აუცილებლად უნდა მიეჩვიოთ.

ამრიგად, პიონერებო და ბავშვებო, მოსწავლენო, გააბით ჟურნალთან მეტი ცოცხალი კავშირი, ამით წინ წაიწევს ჩვენი საერთო საქმე და ჩვენი ჟურნალიც.

# მოსავლე პიონერების სწავლებიდან

საქართველოს  
საბავშვო  
საზოგადოებრივი  
სამსახური

მეოთხმოცდამეორე შრომის სკოლა არაფრით არ განსხვავდება თავისი მსგავსი სკოლებისაგან, ასეთი სკოლები კი ტფილისში მრავალია.

ძველი, რუხი შენობა ქალაქის განაპირას. ჯერ არ შეგიდგამთ ფეხი სკოლის ეზოში, და უკვე იცით, რომ აქ იზრდება ჩვენი ახალი თაობა, რომელიც ემზადება ახალი ცხოვრებისთვის, იღებს შრომითს აღზრდას.

გზვებიან მხიარულად, საღამით და მიყავხართ სკოლის ოთახებისკენ, დერეფნებისკენ.

ბავშვთა იმ დიდძალ მასაში არ შეიძლება თვალი არ მოჰკრათ კოხტად შეკერილ ფორმას და წითელ ყელსახვევს. ეს ამ სკოლის კოლექტივის პიონერებია. ისინი არიან, რომ თვალყურს ადევნებენ მოწაფეთა საერთო წესრ-გს და ბეჯითად იცავენ მას.

ჩვენი პიონერები, — ამბობს მასწავლებელი, — წარმოადგენენ სანიმუშო მაგალითს მთელი მოწაფეობისათვის: არ შეიძლება მათ შენიშნოთ რაიმე ცუდი, განვითარების მიხედვითაც ისინი უფრო წინ დგანან, ვიდრე სხვა ბავშვები.

ღარეკეს ზარი. ამოძრავდა ბავშვების ფეხები. გაკვეთილი ისევ დაიწყო. ყველა მაცადინებოდაზეა. სკოლის ქვედა სართულში ფართო და სინათლიან ოთახში, რომელსაც აწერია „სადურგლო-საწარმოო სახელოსნო“ აწყვია მაგიდები, სკამები, ფიცრები, დაზგები, ხერხი და სხვა სადურგლო ნივთები.

— ჩვენ საკუთარი ხელით შევაკეთეთ სკოლის კუთხნილი ნივთები, არ დავგიტოვებია არცერთი გატეხილი სკამი, რომ არ შეგვეკეთებინოს. ეს კიდევ არაფერი, სახელოსნო ნივთებიც შევიძინეთ იმით, რომ საბაზროდ დავამზადეთ სკამები და სხვა ნივთები, — ამბობს ერთი მოწაფეთაგანი.

სამწუხაროდ, სახელოსნო ვერ აკმაყოფილებს ყველა პიონერსა და მოწაფეს: არ ყოფნით ფიცრები და საწყობები. ერთი სიტყვით, ეს საქმე არაა გაფართოებული. არა ნაკლებ, ვიდრე დურგლობა, აინტერესებს ბავშვებს სახეინკლო საქმიანობა, მაგრამ ეს საქმე ქალაღზნეა მხოლოდ.

სალაშინის მოძრაობა. თხელი ბურბუშელა. ჰაერში სდვას ნახერხის თხელი მტვერი და სუნი. ისმის ჩაქუჩების და ხერხის ხმები.

ყველაზე საყვარელი გაკვეთილები მოწაფეებისათვის — ეს წარმოებითი გაკვეთილებია.

— ჩვენს სკოლაში სულ ოთხსამდე ბავშვია — ამბობს ერთი პიონერთაგანი. — გეყავს მოწკომი, საბჭო, როგორც წესი და რიგია, სასუქო ბევრია, თუ მოასწრებს; თუ ყოველი ჩვენთაგანი სკოლაზე ლაპარაკიც ნება დატვირთული, მაშინ დისციპლინის არ დავგვირდება.

ამასწინად საბჭოთა გაზეთებში მკითხველთაგან მივიღეთ იყო საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მოწოდება — ჩვენს მთელ დაველობისთვის ძველი რკინეულობის მოგროვებისათვის ამ ხმარების შესახებ. ეს შენიშვნა არ გამოპარვდა. ახალი ამ სკოლის პიონერებს, რომელთაც გასწიეს ავიატორების ყველა მოსწავლეს შორის და ერთ დღეს სკოლაში, ეზოში შეაგროვეს 128 კილო რკინეულობა, რასაც გადასცემენ ჩვენს მრეწველობას.

— ეს ცოტაა, — ამბობენ პიონერები, საჭიროა კიდევ მეტი შევეგროვოთ, მთლად დავიაროთ ჩვენი რაიონი, დავეხმაროთ ამრიგად ჩვენს მრეწველობას.

ამ წელს მოწაფეებს ძლიერ ბევრი საქმე აქვთ დავალებული მოწკომიდან, უახლოეს კვირაში განზრახულია სკოლის სასპორტო მოედნისათვის იმ ადგილის გაწმენდა, სადაც ახლა მხოლოდ ნაგავი ჰყრია. ამის გარდა სავალდებულოდ დადგენილია: ყოველმა პიონერმა უნდა ასწავლოს წერა-იკითხვა ერთ უცოდინარს. განზრახულია მოეწყოს ანტირელიგიური საღამოები და წამოდგენები ღარიბი მოწაფეების სასარგებლოდ, შეისწავლონ მოწაფეების ოჯახური ცხოვრების პირობები. გადაწყვეტილია ყველა მოწაფის ჩაბმა პიონერ-მუშაობაში. — ჩვენთან არ უნდა დარჩეს არცერთი მოწაფე საზოგადოებრივი მუშაობის გარეშე, — აცხადებენ პიონერები.

აქვე, სკოლასთან, პიონერების შესაკრები ადგილია. კვირაში რამდენიმეჯერ აქ იკრიბებიან ფ. მახარაძის სახელობის მეორე კოლექტივის პიონერები და ჰადრაკის, დამასის თამაშით და სხვადასხვა თემაზე საუბრებით ატარებენ დროს. აწყობენ ექსკურსიებსაც სხვადასხვა ფაბრიკაში და წრეებშიაც მუშაობენ.

პიონერები ათვლიერებენ ხშირად ყაზარმებსაც, ეცნობიან წითელი ჯარის ცხოვრებას. განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ წითელი ჯარის საკითხს თავის გაზეთშიც („წითელი სხივები“).

ისევ ზარის ხმაა. გაკვეთილი გათავდა. გამოცვივდენ ბავშვები სკოლის ეზოში. სკოლის კოაპერატივის წინ ისევ დიდი ამბავია, ნოქარი ძლივს ასწრებს მოწაფეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

კოაპერატივის განზრახული აქვს ახლო ხანში გასცეს თბილი საუზმეები; ამ საკითხით დაინტერესებულია აგრეთვე მასწავლებლობა და მოწაფეთა მშობლებიც.

მთავარი, რაც ხელს უშლის ამ სკოლის ფართო მუშაობას, — ესაა სკოლის საერთო სიღარიბე.

ეს სიღარიბე, საშვალეების უქონლობა აქ ყველაფერში მკლავდებდა: არაა საკმაო სასწავლო ნივთები (ასე, მაგალითად, მთელ სკოლაში ერთი გლობუსია), კარგა ხანია არ ჰქონია შენობას რემონტი და სხვ.

საერთოდ, თუ განსახკომს არ ძალუძს დაეხმაროს სკოლას სათანადოდ, მაშინ საჭიროა სხვა წყაროების გამოჩახვა, თუ სკოლაში არაა შემოდებული შრომითი ჩვევები, საჭიროა მათი შემოღება.

4 ნოემბერს, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, აქაც ჩატარდა შაბათობა საბჭოთა სკოლების სასარგებლოდ.

მრავალი ათასი მუშა, კომკავშირელი და პიონერი მუშაობდნენ ამ დღეს შრომის სკოლების ნივთიერი საშვალეების გასაძლიერებლად.

მაგრამ შრომის სკოლებისადმი დახმარების გაწევა მარტო შაბათობით არ უნდა დასრულდეს, საბჭოთა კავშირში უნდა შეიქმნას ნამდვილი შრომის სკოლა, ამისთვის კი საჭიროა მას ყურადღება მიაქციოს მთელმა ჩვენმა საზოგადოებრივობამ და პირველ ყოვლისა კი მოწაფეობამ და მათმა მოწინავე რაზმმა — პიონერებმა. **ედგარ შმერლინგი.**

# აზრიკოს ტყაპოსა და ველაჯუი

## აბრეშუმისბალნიანი მაიმუნი

ჩვენ უკვე დავაპირეთ გზის განგრძობა, რომ უეცრად ჩვენი ყურადღება პატარა მაიმუნმა მიიპყრო. იგი ჩამომჯდარიყო ხეზე და თავისი სერიოზული სახით მეტად სასაცილო იყო. იგი დაფარული იყო გრძელი, აბრეშუმის მსგავსი ბალნით, უკანიდან კი მას ფაფუკი კუდი ამშვენებდა. თითების სწრაფი მოძრაობით ტოტებიდან ფოთლებს ჰკრეფდა და პირისკენ აგზავნიდა. ხის ნახეთქში მან იპოვა დაგუბებული წყალი და ხარბად დაეწაფა.

ჩვენ ძალიან გვინდოდა, რომ მაიმუნი ხიდან ჩამოსულიყო. მაგრამ ეტყობოდა, რომ იგი ხიდან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ჩამოვიდოდა. ამ მაიმუნს, რომელსაც აბრეშუმისბალნიანი მაიმუნი ეწოდება, უკანა ფეხები გრძელი აქვს, ამიტომ გაჭირვებით დადის მიწაზე. სამწუხაროდ, ევროპელები და ადგილობრივი მცხოვრებნი ძალიან ბევრს ხოცავენ ამ ჯიშის მაიმუნებს — მათი ძვირფასი ტყავის გულისათვის. ამიტომ აბრეშუმისბალნიანი მაიმუნების ჯიშში შესამჩნევად შემცირდა. სცადეს კიდევ ამ მაიმუნების მოშენება და შემდეგ ევროპაში გადაგზავნა, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა: ეს მაიმუნები ძალიან სათუთები არიან და ვერ სძლებენ ტყვეობაში.

## სახიფათო მომენტი

— მომშვიდა, — სთქვა ჩემმა თანაშემწემ. — არაფერი უჭირდა, რომ დავნაყრებულებიყავით.

ჩვენ მხარი დავუჭირეთ ამ წინადადებას და ტომრიდან ხელდახელ ამოვიღეთ სანოვავე.

მხიარულად და ხალისით ვისაუზმეთ ბაობაბის ჩრდილში, რომელმაც წინა ღამეს თავშესაფრობა გაგვიწია. ჩვენ ვსაუბრობდით, შემდეგი მოგზაურობის გეგმებს ვაწყობდით და ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს ერთმანეთს. როდესაც დავნაყრდით, ნარჩენი სანოვავე ისევ ტომარაში შევინახეთ და გზას ვავუღეკით.

უეცრად წინ ხმაურობა მოგვესმა.

ჩვენ ვცდილობდით ჩუმად გველო და კრინტს არ ვძრავდით. ხშირ ტყეში ჩვენ შევამჩნიეთ, რომ ხის ტოტები ძალზე ირხეოდა; ვეებერთელა ცხოველი ლამობდა მათ მოთხრას. ეს იყო გორილა. გორილა ხეებიდან და ტოტებიდან ნაყოფს ჰკრეფდა. უეცრად მთელ ტყეში გაისმა მისი შემზარავი ყვირილი.

ამის შემდეგ ჩირვები გადაიწვამოიწია და ჩვენ დავინახეთ უზარმაზარი ხვადი გორილა. იგი ოთხ ფეხზე მოძვრებოდა ბუჩქებში, მაგრამ, თვალი მოგვკრა თუ არა, მყისვე გაიმართა წელში და თამამად და პირდაპირ დაგვიწყო მხერა, ჩვენგან იგი მო-

შორებული იყო თხუთმეტი ნაბიჯის მანძილზე. სიდიდით იგი ორ მეტრამდე იქნებოდა. ტანი ვეებერთელა ჰქონდა, ხელის კუნთები — წარმოუდგენლად განვითარებული. მისი დიდი, ჟღალი ჩაღრმავებული თვალები ელავდნენ მძვინვარედ, მთელ მის სახეს საზარელი გამომეტყველება ჰქონდა. თავის ქაღალზე დაბალი ჯავარი ყალყზე დასდგომოდა და სწრაფად მოძრაობდა; მან დაახრჩინა გრძელი ეშვები და მენისებური ხმით დაიღრიალა. ამის შემდეგ სწრაფად შეტრიალდა და თავი მისცა მწვანე დაბურულ ტყეს.

გორილასთან შეხვედრით აღელვებულები, ჩვენ თავშესაფარში დავბრუნდით.

## ქონდრის კაცებთან შეხვედრა

უკვე ორი დღე იყო, რაც ჩვენ ტროპიკულ ტყეში ვიმყოფებოდით.

მანგრის ხეების ფესვები, რომლებიც მიწის ზედაპირზე ამოჩრილიყვენ, განსაკუთრებით აძნელებდა ჩვენს სიარულს და გვაიძულებდა ძალიან შორი გზა გავგეკეთებია მათ გასავლელად. ამ ხის ფესვები მიწიდან თითქმის სამი მეტრის სიმაღლეზე იყო ამართული. ისინი მოგვავაგონებდნენ ვეებერთელა გადამბრუნებულ კალათს. სულ ზევით ფესვები უერთდებოდა ხის ტანს, რომელიც მხოლოდ მწვერვალზე იწყებდა ტოტებად გაშლას.

ჩვენ ვბორძიკობდით ფესვებზე, ხან ტანსაცმელით ვედებოდით ეკლიან ტოტებს და ფოთლებს, ხან მუხლებამდე ვიფლობოდით დამპალ ხეებში, რომლებიც საუცხოვო ყვავილებით იყო დაფარული.

მაგრამ აი, აქა-იქ ჩვენ წავაწყდით ქონებს. ისინი ცარიელები იყო. მხოლოდ ერთი ქონიდან გამოვიდა რამდენიმე პატარა კაცუნა. მათ ჰქონდათ მუქი ყვითელი კანი, ავადმყოფი შესახედაობა, ტიტვლები იყვნენ და სიმაღლით ერთ მეტრს აღწევდნენ. შესაბრალისი კვნესით ხელებს იშვერდნენ ჩვენსკენ, თითქოს მოწყალებას გვთხოვდნენო.

— ქონდრის კაცები! — წამოიძიქ ჩვენმა გამოცოლმა. — ცენტრალურ აფრიკაში ამ პაწაწა ადამიანების მრავალი ტომი ცხოვრობს.


ქონდრის კაცები არავითარ ტანსაცმელს არ ატარებდნენ. იკვებებოდნენ ფესვებით, ხილით და კალიებით, რომელსაც ნედლად შეექცეოდნენ.

გამყოლმა ჩაუბარი ჩამოუგდო პატარა კაცუნას.

— ბევრი-ლა დარჩით თქვენისთანები? — ჰკითხა მან.

ქონდრის კაცმა თავი გაიქნია და დაღვრემით უბა სუხა, რომ მას აქეთ, რაც ისინი უკანასკნელად შეხვდნენ თავის თანამომხებებს, ბერჯერ ჩავიდა მზე.

ეტყობოდა, ბევრი აღარაფერი უკლდა ამ ტომის გადაშენებას.



ბიონერთა კულტურული ლაშქრობა. ბიონერები წერა-კითხვას ასწავლიან წერა-კითხვის უცოდნარს.

### განმარტოებულ კუნძულზე

ჩვენ ძალიან დიდი სურვილი გქონდა კიდეც რამდენიმე დღე გაგვეტარებინა ტროპიკულ ტყეში, მაგრამ საჭირო იყო დავბრუნებულიყავით ქარავანთან, სადაც მე, ალბათ, დიდი ხანია მელოდნენ.

ჩემი ქარავანი დაბანაკებული იყო სოფლის მახლობლად, ტროპიკული ტყის მდინარის ნაპირას. დაბრუნებისას გზაზე შემხვდა ორი იქაური მცხოვრები ზანგი. ისინი ცხოვრობდნენ ქობში, მდინარის პირად, სიმიდს თესავდნენ და და თევზებს იჭერდნენ. ზანგები დროგამოშვებით ნადირობდნენ კამეჩებზე, რომლის რქები და ქალა ძვირად ფასობდა.

ერთი მათგანი წამოგვეყვა ქარავანთან. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ იგი დაგვთანხმდა ეჩვენებინა ჩემთვის კამეჩების სამყოფი ადგილი. მე შევიტყე, რომ კამეჩების დიდი ჯოგი ამჟამად იმყოფებოდა კუნძულზე, ძნელად მისაღწევ ქაობებში, მდინარის საწინააღმდეგო მიმართულებით.

როდესაც ბანაკში დავბრუნდით, ქარავანი მოვხსენი ადგილიდან და კუნძულის მახლობელ მიდამოებში დავაბანაკე.

ჩვენ გავაკეთეთ ხიდი ხვეული ლიანებისაგან. იგი აერთებდა ბანაკს კუნძულთან. ამ ხილზე გადასვლა მხოლოდ ფეხშიშველს შეეძლო.

პირველი დღეები კუნძულის შესწავლას მოუწყობდა. მე დავრწმუნდი, რომ კამეჩები მხოლოდ ღამის ცხოვრებას ეწევიან. ბალახი გადამხმარიყო, მხოლოდ ნაპირის ახლო ხარობდა მწვ. ნე მოლი და ტყე. კუნძულის უმეტესი ნაწილი ქაობიანი იყო. ძნელი წარმოსადგენია ამ კამეჩების სამყოფელზე უფრო მავნებელი ადგილი ჯანმრთელობისათვის. ადამიანის ფეხქვეშ ნიადაგს ჭყაპუნნი გაქონდა და წყალი ამოდიოდა. კუნძულის ზედაპირზე საუცხოოდ გავხარებია ქაობის მცენარეულობას.

უთვალავი მოსკიტი ცხოვრობდა აქ. ვეებერთელა ნიანგები იმალებოდნენ კუნძულის ნაპირთან, წყალში. მდინარის უფრო ღრმა ადგილებში მე შევაძინე მრავალი ათეული ნიანგი. ისინი გუნდ-გუნდად გამოდიოდნენ ნაპირზე და მზეზე თბებოდნენ. მათ ახლოს ირეოდნენ ყანჩები, იბისები, ნილოსის ბატები და ჭაობის და წყლის ფრინველები. ფრინველებს არ ეშინოდათ ნიანგების, მაგრამ მაინც დაბალ წყალში არჩევდნენ ყოფნას, საიდანაც ნიანგის უეცარი თავდასხმის დროს ადვილი იყო თავის შევლა. მე მომეჩვენა, რომ ამ ფრინველებს, და წყლის საზარელ ცხოველებს შორის მეგობრული განწყობილება არსებობდა.

ბევრმა დღემ გაიარა კამეჩების უშედეგო ძებნაში. მე წელაშე ვტოპავდი წყალში ლერწმებსა და ლერწმებს შორის. ხელები დასერილი მქონდა მცენარეების ბასრი ღეროებისაგან, მოსკიტებმა ხომ საშინლად დამკბინეს სახეზე და ტანზე. მე ვაძინე კამეჩების ნაკვალევს, მაგრამ ცხოველები არსად ჩანდნენ. დავრწმუნდი, რომ ისინი მხოლოდ ღამ-ღამობით სტოვებდნენ ქაობს და გარიჟრაჟისას კი ისევ ფრთხილად ბრუნდებოდნენ ადამიანისათვის მიუწვდომელ ქაობებში, სადაც მთელი დღის განმავლობაში რჩებოდნენ.

ერთხელ აკაციის ხეზე ავცოცდი. აკაციიდან ადვილი შეიქნა კამეჩების სამყოფელის დანახვა. კამეჩები ისვენებდნენ, და მრავალი ასეული ყანჩა ირეოდა მათ შორის: ისინი ეძებდნენ ცხოველების ტანზე მკებნარებს. მკებნარებით კი საფე იყო მთელი კუნძული. მილიონი ტკიპათი იყო დაფარული ბალახები და ბუჩქები იმ ადგილებზე, სადაც კამეჩები სძოვდნენ. გადასდგამდით. თუ არა კუნძულზე რამდენიმე ნაბიჯს, მთელ ტანზე მოგედებოდათ ასეული სისხლისმსველი ტკიპა, რომლებიც მწარედ იკბინებოდნენ.

(გაგრძელება შემდეგ)

1) მოსკიტები—კოლოების მსგავსი მკებნარი მწერები.  
2) იბისი-ივეოსი—ქაობის ფრინველი.

# როგორ აკეთებენ კინო-სურათებს.

საქართველო  
კინო-სურათები

„პიონერის“ № 18-ში ჩვენ ვილაპარაკეთ სურათის შესახებ, რომელიც შეეხებოდა პიტერის (ეხლანდელი ლენინგრადის) მუშების ცხოვრებას მეფის თვითმპყრობელობის დროს. ამ სურათში ნაჩვენებია იყო მუშების დახვრეტა, ყაზახების და პოლიციელების მხეცური მოქმედება და სხვ. მაგრამ ეს სურათი მეფის დროს არ გადაუღიათ: მაშინ ასეთი სურათის გაკეთების ნებას არავის მისცემდნენ. მაშასადამე, როგორც ამბობენ ხოლმე, ეს სურათი გააკეთეს, გადაიღეს ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს. საიდან უნდა მოიყვანონ ეხლა პოლიციელები, ან თვით მეფე, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ არის ცოცხალი? თავისთავად ცხადია, რომ მეფე, ყაზახები და პოლიციელები—ყველა ესენი დღეს ხელოვნურად გამოიწვიონ ხალხია: მსახიობები გამოეწყვიტნენ იმის მიხედვით, რასაც მოითხოვს სურათის შინაარსი. რასაკვირველია, კინო-სურათში მონაწილეობის მიღება ყველას არ შეუძლია. ამისთვის არიან ისინი, რომლებსაც კინო-მსახიობებს უწოდებენ.

როგორც თეატრში, ისევე კინო-სურათში მსახიობებს უხდებათ სხვადასხვა პირობის გამოხატვა, ან, როგორც ამბობენ, **როლებს თამაში**. მაგალითად, ერთი ასრულებს მეფის როლს, მეორე—პოლიციელის, მესამე—ყაზახის და ასე შემდეგ. ზოგიერთ სურათში რამდენიმე ათასი ადამიანი იღებს მონაწილეობას. ასეთი სურათებისათვის უმეტეს შემთხვევაში იწვევენ არა მსახიობებს, არამედ ნამდვილ მუშებს, წითელარმიელებს ან, თუ სურათში საქმე სოფლად ხდება, გლეხებს. აი ესენი აკეთებენ ყოველივე იმას, რასაც უნდა აკეთებდნენ სულ სხვა მუშები, გლეხები ან ჯარისკაცები. თავისთავად ცხადია, ზოგჯერ მათ უხდებათ ტანსაცმელების გამოცვლა: მაგალითად, წითელარმიელებს—მეფის ჯარისკაცების ტანსაცმის ჩაცმა, პოგონებით მხრებზე.

გასაგებია, რომ ყოველ იმათგანს, რომელიც მონაწილეობს სურათში, კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, თუ რას წარმოადგენს ის: მეფეს, ჯარისკაცს თუ კიდევ სხვა ვინმეს. აგრეთვე მან უნდა იცოდეს, თუ რა უნდა აკეთოს, როგორი წესით ითამაშოს და სხვ. მაგალითად, ეხლა საჭიროა მისთვის მუშაობდეს ქარხანაში, შემდეგ კი იყოს კრებაზე, შემდეგ კიდევ სხვაგან სადმე. ამ დროს ადგეს, ამ დროს გაიქცეს, დაეცეს და ასე შემდეგ.

თუ თქვენ გინახავთ ასეთი სურათი, თქვენ შეამჩნევდით, რომ ერთ რომელიმე მსახიობს ზოგჯერ ერთსა და იმავე სურათში უხდება საკმაოდ დიდი როლის შესრულება.

მაშასადამე, როგორც ნალაპარაკებიდან მიხედვით, ყოველმა მსახიობმა წინასწარ უნდა იცოდეს სურათის შინაარსის მიმდინარეობის მთელი წესი, მთელი გეგმა. ასეთ წესს ეწოდება **სცენარი**. მაშასადამე, სურათისათვის წინასწარ დამზადებული უნდა იყოს სცენარი. ამ სცენარში მოთხრობილი იქნება, თუ რას შეეხება ეს სურათი, ვინ იღებს მასში მონაწილეობას, სად ხდება ყოველივე ეს, რა წესით, რა წარწერები უნდა ჰქონდეს და სხვ. ერთი სიტყვით, სცენარში არის წინასწარ მითითებული ყველაფერზე.

იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას ის, რასაც მოითხოვს სცენარი, საჭირო ხდება სურათის პატარა-პა-

ტარა ნაჭრებად გადაღება სხვადასხვა ადგილას. თუ სხვადასხვა შემთხვევა ხდება ერთსა და იმავე ადგილას, მაშინ, ცხადია, მათ ერთსადაიმავე დროს იღებენ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სცენარის მიხედვით მათ შორის გასული იყოს რამდენიმე წელი. შემდეგ ამ სხვადასხვა ნაჭრებს აწესრიგებენ და ერთმანეთზე აწებებენ.

ასე იღებენ უკვე გამზადებულ სურათს. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ სცენარში არის ნათქვამი ასე:

**ქობი. ძია იავორა თავისი ცოლით სვამს ჩაის.**

ეს, რასაკვირველია, შეიძლება გადაღებულ იქნეს ასე: წავიდეთ სოფელში, აპოვარჩიოთ შესაფერისი ქობი, და შემდეგ მსახიობები ითამაშებენ ამ ქობში: დალევენ ჩაის გლეხის ტანსაცმელში გამოწყობილნი, ხოლო ოპერატორი გადაიღებს მათ. მაგრამ შეიძლება მოვიქცეთ ასეც: ფიცრებისგან ავაშენოთ არა ნამდვილი ქობი, არამედ, ვთქვათ, მხოლოდ ორი კედელი უსახურავოდ და ასეთ კუთხეში გადავილოთ ძია იავორა. ჩვენ კი გვეგონება, რომ ის ნამდვილ ქობშია, რადგანაც კედლის ორ დანარჩენ მხარეს ჩვენ ვერ ვხედავთ.

ასეთი შენობის მოსაწყობად თვით ფაბრიკასაც აშენებენ. ამ ფაბრიკებს უთმობენ მიწის დიდ ნაკვეთებს, რადგანაც იქ შესაძლებელი უნდა იყოს ყველაფრის გაკეთება და აშენება, რაც საჭირო იქნება სურათის გადასაღებად.

იმისთვის, რომ ჩვენი პატარა მკითხველები გაერკვენ იმაში, თუ რა არის კინო-ფაბრიკა, ვიამბობთ ერთი ასეთი ფაბრიკის შესახებ.

ეს ფაბრიკა მოთავსებულია არა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, არამედ ამერიკაში.


საყურადღებოა აღნიშვნა იმისა, რომ ქალაქი, სადაც ეს ფაბრიკა იმყოფება, არ ჰგავს სხვა დანარჩენ ქალაქებს. ქალაქებში, სულ ერთია, დიდი იქნება ის თუ პატარა, მცხოვრებლები სულ სხვადასხვა ხელობას ეწევიან, ხოლო ამ ქალაქში მხოლოდ კინოს საქმეებს აკეთებენ. იქ ცხოვრობენ მსახიობები, ოპერატორები, მოსამსახურეები, სხვადასხვა მუშები, მუსიკოსები, და ეს ადამიანები მხოლოდ კინოსათვის მუშაობენ.

ამ ქალაქში იმყოფება ეს ფაბრიკა უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკის შენობა არც ისე პატარაა: მას უჭირავს სივრცით 2 ჰექტარი მიწა.

ადვილი გასაგებია, რომ ასეთი შენობის გასანათებლად არ კმარა მზის სინათლე, რომელიც მასში აღწევს, თანაც მზე ზოგჯერ არც კი ანათებს. მაშასადამე, საჭიროა შექმნა ხელოვნური სინათლის, რომელიც მეტად ძლიერად უნდა ანათებდეს. და, მართლაც, იქ აწყობენ ისეთი ძლიერი ძალის სინათლეს, რომ ზოგჯერ მსახიობებს თავლები უფუჭდებათ. უკანასკნელ დროს ასეთ ფაბრიკებს აკეთებენ უფანჯროდ და არც საჭიროებენ მზის სინათლეს.

ასეთი შენობის შიგნით არის არა მარტო ისეთი ადგილები, სადაც იღებენ სურათებს, არამედ იქვეა სხვადასხვა სახელოსნო: საღებავლო, საკერავი და სხვა მრავალი.

ეხლა მივაქციოთ ყურადღება, თუ როგორ მიმდინარეობს იქ სურათის გადაღება.



იმისთვის, რომ დავიწყოთ სურათის გაკეთება, საჭიროა გვექონდეს სცენარი. როგორც თქვენ ვახსოვთ, სცენარი არის სურათის გეგმა. ის, ვინც ხელმძღვანელობს სურათის გადაღებას, კითხულობს სცენარს და ფიქრობს მის განხორციელებაზე. საფიქრებელი ბევრი არის: სად უნდა იქნას გადაღებული და რა ნაწილი როგორ უნდა გადაიღონ. თქვენ უკვე ვიამბეთ იმის შესახებ, რომ ზოგჯერ საჭირო ხდება მთელი მსახიობებით, მთელი მოწყობილობით სადმე წასვლა, რომ უფრო მოხერხებულად გადაიღონ სურათი, მაგალითად, ზღვასთან, ან მთებში, ან კიდევ სხვაგან სადმე.

მაშინ, როდესაც წასვლა ან უხერხულია, ან არ შეიძლება წასვლა, რადგანაც არსად არ არის ისეთი ადგილი, როგორც საჭიროა, აუცილებელი ხდება ასეთი ადგილის თვით ფაბრიკაში აშენება.

მას შემდეგ, რაც სცენარი უკვე მოფიქრებულია, მთელი სამუშაო განაწილებულია, — იწყებენ მსახიობების შერჩევა-გამონახვას. ეს საქმე არც ისე ადვილია. საჭიროა, რომ მსახიობს კარგად შეეძლოს იმის გამოხატვა, რასაც მოითხოვს სცენარი, და აგრეთვე მისი გარეგნობა კარგად უდგებოდეს დასახელებულ როლს. ზოგიერთი სურათისათვის ადამიანებს პირდაპირ ეძებენ. მაგ. საჭირო ხდება ერთი რომელიმე სურათისათვის მეფის გვარდიის გამოხატვა, როგორც იყო ის ასი წლის წინათ, და, აი, მთელ ტფილისში ეძება ჩვენმა სახკინმრეწვმა ტანადი და მაღალი ხალხი, რადგანაც მაშინ მხოლოდ ასეთ ხალხს იღებდნენ გვარდიაში; ასეთი ადამიანები კი არც ისე ცოტა იყო საჭირო: უნდა შეეგროვებიათ მთელი ათასეული.

როდესაც შეაგროვეს საჭირო ხალხი და მათ შეითვისეს ის, რასაც მაშინ მოითხოვდა სცენარი, მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს სურათის გადაღება.

ხშირად გინახავთ, ალბათ, სურათში უჩვეულო თავგადასავლები, როდესაც, მაგალითად, ადამიანი გადახტება მე-5 სართულიდან, მთიდან ზღვაში და სხვ. ალბათ, ყველას გაგვიკვირებიათ ეს. ნუთუ მართლა ხტებიან ასეთი თვალუწვდენელი სიმაღლეებიდან? აბა გავეცნოთ.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ სურათის შინაარსი მოითხოვს, მაგალითად, რომ კაცი აცოცდეს მაღალ კედელზე ან, პირიქით, უნდა გადმოხტეს მაღალი სახლიდან და ამავე დროს კი უვნებელი უნდა დარჩეს. თავისთავად ცხადია, როგორი მარდი და მოხერხებულიც გინდა იყოს კაცი, ის ამის გაკეთებას მაინც ვერ შესძლებს.

ან კიდევ: სურათი მოითხოვს, რომ მამაკაცი ცოცავდეს ჭერზე ისევე, როგორც მწერი, ან როგორც ჩვენ დავდივართ იატაკზე. აი შეხედეთ, თუ როგორ ხდება ეს „სასწაული“:

ტილოს ნაჭერზე ან იატაკზე დახატულია სახლის კედელი. კინო-აპარატის თავი დაქანებულია ქვევით შემდეგ კაცი (მსახიობი) მიხობავს სურათზე და ისეთ სახეს იღებს, თითქოს მართლაც ნამდვილ კედელზე მიხობავს. მას იღებენ; ხოლო შემდეგ, როდესაც ამას გვიჩვენებენ სურათში, ყველას ჰგონია, თითქოს ის მართლაც მიხობავს დაქანებულ კედელზე.

ასე აკეთებენ სხვა ასეთ საშუაშ თავგადასავლებს და მოქმედებას.

როგორც ხედავთ, ეს არც ისე ძნელი საქმე ყოფილა.



## რად გვესაჭიროება ჩვენ ქიმიკა.

როგორც ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია, აგრეთვე მისი ქიმიზაცია დიდმნიშვნელოვან საქმედ არის მიჩნეული.

რას იძლევა ქიმიკა?

ჩვენ რომ გვითხრან: ის პური, რომელსაც ვჭამთ, და ის ნივთიერებანი, რომლის საშვალეებით შეიძლება მძლავრი აფეთქებების მიღება, ჰაერიდან კეთდებაო, შესაძლოა არც კი დავიჯეროთ, სინამდვილეში კი ეს ასეა. ყველასათვის ცნობილია, რომ პურს, რომელსაც ჩვენ ვჭამთ, მცენარეებისაგან ვაკეთებთ, ეს მცენარეები კი მიწაზე იზრდება. მაგრამ მიწას მუდმივი გაპატივება ესაჭიროება, თორემ იგი თანდათანობით გამოიფიტება და მოსავლისათვის გამოუსადეგარი გახდება. სათესი მიწების გასაპატივებლად საუკეთესო საშვალეებაა აზოტიანი ნივთიერება.

ამისათვის ხშირად მიწას აპატივებენ ნების საშვალეებით, მაგრამ საწინამუშო სასოფლო-სამეურნეო ადგილებში, როგორც საზღვარგარეთ, აგრეთვე ჩვენშიც, სხვადასხვა მარილს ხმარობენ. მარილისაგან კეთდება აგრეთვე ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

ამ მარილებს შორის ყველაზე გავრცელებულია გვარჯილა; ის მოიპოვება ბლომად სამხრეთ ამერიკის უდაბნოებში, ჩილიში.

საქმე ისაა, რომ გასაპატივებელ და ასაფეთქებელ ნივთიერებათათვის ყოველწლიურად იხარჯება ამ მარილის დაახლოვებით 25 მილიონი ტონი. ამიტომ ჯერ კიდევ 25 წლის წინათ მეცნიერები მიუთითებდნენ ამ მარილის სიმცირეზე, რაც ეხლა მეტად შესამჩნევია. ჩილის გარდა კი, როგორც ცნობილია, ეს მარილი არსად არ მოიპოვება. ამრიგად სასოფლო მეურნეობას და მრეწველობას საშიშროება მოელოდა, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა ქიმიის ძალა.

მეცნიერებამ იქამდე მიაღწია, რომ შესაძლებელი შეიქნა ხელოვნური საშვალეებით ამ მარილის მიღება პირდაპირ ჰაერიდან.

ნორვეგიაში აშენდა ქარხნები ჩანჩქერებზე, სადაც აკეთებენ ხელოვნურ გვარჯილას. შემდეგ ეს საქმე იმდენად განვითარდა, რომ შესაძლებელი შეიქნა უფრო დიდი მიღწევების მიღება. მხოლოდ ამ საშვალეების წესიერად გამოყენების წყალობით შესძლო გერმანიამ რამდენიმე წლის განმავლობაში ომის წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ მოკლებული იყო ნედლ მასალას და მასთან ერთად გვარჯილას.

ძლიერი ქიმიური ქარხნების საშვალეებით ამ ქვეყანამ შესძლო დაემზადებია საქმაო გვარჯილა და აზოტიანი ნივთიერებანი, რაც საჭირო იყო ასაფეთქებელ ნივთიერებათა მისაღებად.

**ბენზინი ნახშირისა და წანახშისაგან.**

შენიშნულია, რომ ტექნიკის მძლავრი განვითარების გამო საგრძნობლად შემცირდა არა მხოლოდ გვარჯილა, არამედ სხვა ბუნებრივი სიმდიდრენიც.

გემები, ავტომობილები, ჰაეროპლანები, მატარებლები და ათასი სხვა მანქანები დიდძალ ნავთს და ბენზინს ხარჯავენ. ასე, მაგალითად, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ითვლება დაახლოებით 30 მილიონი ავტომობილი, რომელიც სწავას ძალიან ბევრ ბენზინს. ამის გარდა რამდენი გემი, რამდენი ნავთის და ბენზინის სხვა მოტორი მუშაობს დედამიწაზე! აშკარაა, ყველა ამას შეუძლია ძლიერ ჩქარა დახარჯოს ბუნებრივი სიმდიდრენი, მაგალითად, ნავთი, რომლის მარაგი თანდათან მცირდება. მაგალითად, მეცნიერების გამოკვლევით და გამოკვლევებით, ამერიკაში ნავთის მარაგი დაახლოებით 10—15 წლის სამყოფია.

საბჭოთა კავშირში ნავთით მეტად მდიდარი ადგილებია, მაგრამ შესაძლოა ეს ადგილებიც ამოშრეს უხლოეს საუკუნეში.

ამით აიხსნება ნაწილობრივ ის ბრძოლა, რომელსაც ადგილი აქვს ნავთის გარშემო იმპერიალისტურ ქვეყნებში. მაგრამ ეს ბრძოლა არ სწყვეტს ნავთის შიმშილის საკითხს. ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ ქიმიის განვითარებას.

ქიმიის წინაშე ძირითად ამოცანად სდგას ნავთის მაგიერ გამონახოს რაიმე სხვა საშვალეობა. ჯერჯერობით ეს ამოცანა ნაწილობრივ გადაჭრილია ისეთი მეცნიერებების მუშაობით, როგორც არიან **იპატიევი, ფიშერი და ბერგიუსი.**

**ქონის შიმშილი.**

კაცობრიობის წინაშე კიდევ სხვა შიმშილია—ესაა ქონის ნაკლებობა. რუსი მეცნიერი **ა. ბახი** ასე ამბობს: „მსოფლიოს მოთხოვნილება ქონზე იზრდება იმაზე უფრო მეტად, ვიდრე მისი წარმოება“.

ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ კაცობრიობა ძლიერ ბევრ ქონს ხარჯავს საქმელად, არამედ იმითაც, რომ მას იყენებს მრეწველობისათვისაც, მაგალითად, საპნის ქარხნებისათვის, სამღებრო საქმეში და სხვა.

მაშასადამე, აქაც საჭიროა რაიმე ღონისძიებების გამონახვა. მთელი რიგი მეცნიერები მუშაობენ, რომ ნავ-

თიდან ხელოვნურად ქონი მიიღონ, ასე რომ ამ დროგშიც უკანასკნელ ხანებში საკმაო მიღწევებია.

ქიმიის გამოყენება ხდება სხვაგვარადაც. მაგალითად, ქიმიურ ქარხნებში უკვე ამუშავენ ხელოვნურ აბრეშუმს, ტყავეულობას, ხელოვნურ ბამბის ტილოებს. ახლოა ის დრო, როცა ქიმიური ქარხნები შესცვლიან მინდვრებს და ველებს. განა გერმანელმა ქიმიკოსმა ფიშერმა არ შესძლო ხელოვნური შაქრის და სხვა ნივთიერების მიღება? განა ქიმიურად არ იღებენ უკვე ყოველგვარ ფერებს?

**800-ჯერ ნაკლები.**

საბჭოთა კავშირისათვის, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყნისათვის, ქიმიის მნიშვნელობა მეტად დიდია. ქიმიამ ჩვენში, უპირველეს ყოვლისა, საკმაოდ უნდა უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის სასოფლო-მეურნეობა გასაპატივებელი საშვალეობით, რაც ჩვენში ძლიერ საჭიროა. იმ დროს, როცა ევროპაში სათესი მიწის ერთ ჰექტარზე იხარჯება 30-მდე კილოგრამი გასაპატივებელი ნივთიერება, ჩვენში 300-ჯერ ნაკლებს ეხარჯავენ და ამიტომ თუ იქ მოსავალი ერთ ჰექტარზე 3200 კილოგრამს უდრის, ჩვენში იგი 800 კილოგრამს ძლივს აღწევს საშვალოდ.

გამოკვლეულია, რომ ჩვენში ძლიერ ბევრი საშვალეობა იკარგება მოუხმარებლად. ასე, მაგალითად, ჩვენი ქარხნების და ფაბრიკების მილებიდან გაშვებული უამრავი კვამლი რომ იქნეს დაჭერილი, მისგან შეიძლება ძლიერ ბევრი სასარგებლო მასალის მიღება (მაგ. საღებავების, ასპირინის და ასაფეთქებელი ნივთიერებების). კვამლიდან შეიძლება მიღებულ იქნეს, გარდა ამისა, სურნელებანი, ძმარის მჟავა, სპირტი და სხვა.

ამიტომ ქიმიამ, როგორ სამეურნეო საშვალეობა, ამ საგნების გამოყენების საკითხს აყენებს. ასე, მაგალითად, დონბასში ქვანახშირს, რომელიც უნდა დაიწვას, წინასწარ აცლიან ასეთ ნივთიერებას და მის შემდეგ სწავავენ.

ჩვენს კავშირში მოიპოვება მრავალი ქიმიური ქარხანა და ინსტიტუტი, მასში სწავლობენ სხვადასხვა ნივთიერებათა გადამუშავებას, რასაც შემდეგ იყენებენ მრეწველობაში.

სანი.



# კომუნისტების სოციალი საქმეები



## ჩვენი კოლექტივი მოსახლის დღეებისათვის.

დიდი სიხარულით ველოდით ოქტომბრის 11 წლის თავს და მის ღირსეულად ჩატარებისათვის წინდაწინვე ვემზადებოდით. ჩვენი მუშაობა შემდეგში გამოიხატებოდა: კედლის გაზეთის გამოშვება, პლაკატების და სხვადასხვა სურათების დახატვა, კუთხეების მოწყობა, მორთვა. ყველას განაწილებული ჰქონდა სამუშაო და თავის სამუშაოს ასრულებდა: ზოგი ხატავდა, ზოგი მომდერალთა წრეში მეცადინეობდა, წარმოდგენაში მონაწილენი რეპერტიციებს გადიოდნენ, ზოგნიც სიტყვისთვის და ლექსების სათქმელად ემზადებოდნენ. კომკავშირის უჯრედმა ის ხელმძღვანელობა გაგვიწია, რომ გამოაშკრა ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობას გვიწვედნენ.

საზეიმო დღის მოგაწყეთ ნ ნოემბერს, ეს იმიტომ, რომ მეორე დღეს დემონსტრაციაზე უნდა გავსულიყავით.

მეორე დღეს, ე. ი. 7 ნოემბერს, დანიშნულ დროზე უფრო ადრე ყველა ჩვენგანი, ფორმაში გამოწყობილი, კოლექტივში იყო.

უკვე წასვლის დროა, ისმის ხელმძღვანელის განკარგულება. ყველანი რიგებში ვდგებით. ყველას გვინდა დროა ან პლაკატი დავიჭიროთ, მაგრამ სხვები უფრო ადრე გარჯილან და აღარ გვანებებენ.

რამდენიმე პატარა ამხანაგი ხელმძღვანელს სთხოვს, რომ ისინიც წამოგვეყვენ. როდესაც ხელმძღვანელისაგან უარი მიიღეს, ერთმა იკითხა:

— რატომ არ უნდა წამოვიდეთ?

— თქვენ პატარები ხართ, ვერ ივლით, დაიღლებით.

— არა, არ დავიღლებით, — თითქმის ერთხმად შესძახეს.

— მაშ კარგი, მხოლოდ ფრთხილად იარეთ, არ დაგეშორდეთ, დაუკითხავად არსად წახვიდეთ...

— სმენა! — გაისმა ხელმძღვანელის ხმა.

გავსწორდით, წასასვლელად მოვემზადეთ.

— ჩვენ, ამხანაგებო, შესაკრებ პუნქტზე უნდა გამოვცხადდეთ, იქიდან კი მთელ სარაიონო კოლექტივებთან ერთად დემონსტრაციაზე გავალთ, — აგვიხსნა ხელმძღვანელმა.

— ბიჯებით იარ! — და ჩვენც დავიძარით.

შესაკრებ ადგილზე ჩვენი კოლექტივი სხვა კოლექტივებს შეუერთდა.

დოლებისა და საყვირების ხმებმა, პიონერების სიმღერებმა, ხმაურობამ მოედანი გააცოცხლა.

როდესაც გავჩერდით, პიონერებს შორის ასეთი საუბარი ჩამოვარდა:

— იმათი სჯობია, — დიდი და კარგი ნამუშევარია.

— ჩვენი სჯობია, — უბასახებდნენ მეორეები. კამათი შეეხებოდა იმას, თუ რომელი პაერობლანის მოდელი სჯობდა, ჩვენი თუ მეორე კოლექტივის.

— იმათ რადიოც აქვთ, ჩვენ კი არა. — ამბობდა პატარა პიონერი ლადო, რომელსაც ასეთი ნამუშევრები ძლიერ უყვარს.

უფროსი ამხანაგები წესიერებას იცავდნენ. ერთი მათგანი მოვიდა და იკითხა: „რომელი კოლექტივია?“

— მე-9 შრომის სკოლის, — ყოჩაღად მიუგო ერთმა ამხანაგთაგანმა.

როდესაც ყველა კოლექტივი შევიკრიბეთ, გასწიეთ ჟორესის ქუჩით პლენარის გამზირისაკენ.

ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. ნელ-ნელა მივდიოდით, დროგამოშვებით გვიხდებოდა გაჩერება. ბოლოს, როგორც იყო, რუსთაველის გამზირზე გაველით. სასახლის წინ ტრიბუნაზე გამოჩნდნენ კომპარტიის ბელადები და დელეგატები.

— გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბერს! — გადმოგვძახეს ტრიბუნიდან. და ჩვენც ვუბასუხეთ ვაშას ძახილით.

როდესაც თავისუფლების მოედანს გავცდით, დავიშალეთ, მაგრამ არცერთი ჩვენგანი არ წასულა, კიდევ დიდხანს ვმხიარულობდით ქუჩებში.

# როგორ უახვდით ოქტომბრის დღე-სასწაულს.

(ამხ. ს. გეგეჭკორის სახელობის კოლექტივი.)

ჯერ კიდევ ცის ჰორიზონტზე მზეს ოქროსფერი სხივები არ დაეფრქვია, რომ კოლექტივში პიონერებმა იწყეს მოგროვება. ყველას გაბრწყინებული ჰქონდა სახე და მხიარულად ესალმებოდნენ ერთმანეთს. ისმოდა მათი მხიარული სიცილი და კისკისი. კარებში გამოჩნდა პიონერი კოტე, რომელსაც ხელში პლაკატები ეჭირა.

— კოტეს გაუმარჯოს, — შესძახეს პიონერებმა და გარშემო რკალივით შემოერტყენ.

— როგორ მოხდა, რომ ასე ადრე აღექი! — გაეხუმრა კოლა.

— შე საწყალო, — მიუგო კოტემ, — შენ რომ გუშინ ბებიას კალთაში ტკბილად გეძინა, მე ამას ვწერდი, — და მიუთითა პლაკატებზე.

— აბა, კოტე, მიჩვენე, — შეეხვეწა ალექსი, და პიონერებმაც გაფაციცებით დაუწყეს თვალიერება. განსაკუთრებით მოეწონათ ერთი პლაკატი, რომელზედაც ოქროსფერი ასოებით ეწერა: „გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავს, გაუმარჯოს კომკავშირს და პიონერთა ორგანიზაციას“.

— ყოჩაღ, კოტე, ყოჩაღ!..

კოტე კმაყოფილებით იღიმებოდა.

ჩქარა პატარა ოქტომბრელებიც მოვიდნენ. გააჩაღეს ცეკვა-თამაში.

ბოლოს ინტერნაციონალი იმღერეს.

— შენ იცი, დღეს რას ვდღესასწაულობთ?

— ვიცი.

— აბა რას?

— ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავს.

— მერე რა მოხდა ამ დღეს?

— პეტროგრადში ამ დღეს დიდი ლენინის ხელმძღვანელობით დაამხეს მუშებმა ძველი წესწყობილება და მუშებმა და გლეხებმა გაიმარჯვეს.

ასე მსჯელობდნენ ერთ ადგილას პიონერი და ოქტომბრელი.

როცა ხელმძღვანელიც გამოჩნდა, პიონერები წამოიშალნენ და სალამი მისცეს. ხელმძღვანელმა გასცა განკარგულება, რომ რიგში დამდგარიყო ყველა. დამწყვიტა ყველა, რის შემდეგ დოლის და საყვირის ხმაურით გავემართეთ სადემონსტრაციოდ და შევეუერთდით მუშების და სხვა პიონერების გრძელ მწყრივებს.

პიონერი გოგი ლომიძე

# როგორ ჩავასარკით ოქტომბრის დღე-სასწაული.

(უმწეო ბავშთა კოლექტორი).

სანამ ოქტ. რევოლუციის დღესასწაული მოახლოვდებოდა, ჩვენმა უმწეო ბავშთა კოლექტორმა უკვე შეადგინა წინასწარი გეგმა დღესასწაულის ჩასატარებლად. მოწვეულ იქნა ბავშთა საერთო კრება, რომელზედაც გამოვყავით, როგორც აღმზრდელებიდან, აგრეთვე თვით მოწაფეებიდანაც სხვადასხვა კომისიები, როგორცაა წესრიგის დამცველი კომისია, ლენინის კუთხის მომწყობი, პლაკატებისა და სხვა. კრების დადგენილება ზედმიწევნით იქნა შესრულებული.

საზეიმო საღამო გაიხსნა დიდი ამბით, პირველად მოსმენილ იქნა პიონერების მოხსენებები და მისასაღმებელი სიტყვები. შემდეგ ჩატარდა წარმოდგენა. წარმოდგენას უამრავი ხალხი დაესწრო.

სჩანდა, ბავშებს ცოცხლად მოეკიდნათ ხელი ამ საქმისათვის, რაც, ერთი მხრივ, უნდა მიეწეროს თვით აღმზრდელებს და განსაკუთრებით კი ო. საბაშვილს, რომელიც დიდ ინიციატორობას იჩენს საერთოდ კულტურულ მუშაობაში.

ე კვიციანი.

# ნაყოფიარად ვეუშაობთ.

(წყალტუბოს თემი, ქუთ. მაზრა)

1925 წლიდან კომკავშირის ხელმძღვანელობით აქ არსებობს ამხ. ბ. ძნელაძის სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივი. პირველ ხანებში კოლექტივის მუშაობა კარგად მიმდინარეობდა, ამხ. კინწურაშვილის ენერგიულ და გამოცდილ მუშაობით, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ეს ამხანაგი ჯარში გაიწვიეს, მუშაობა მინელდა, თუმცა კოლექტივის მის შემდეგაც ყავდა ხელმძღვანელები, კომკავშირის ხელმძღვანელობა იმდენად სუსტი შეიქმნა ამ დროს, რომ კოლექტივი დაიშალა კიდევ და ასეთმა მდგომარეობამ თითქმის 1 წელს გასტანა. ამ მდგომარეობას გამოეხმაურა თემკომი და ბ. კ. ო. ბიურო, რის შემდეგაც მუშაობა გამოცოცხლდა. გამოყოფილ იქნენ ხელმძღვანელებად აქტიური ამხანაგები.

დღეს კოლექტივის მუშაობა სამავალითოა. პიონერთა რიცხვობრივ ზრდის გამო კოლ-საბჭომ დაადგინა კოლექტ. გაიყოს ორად. ეს ასეც მოხდა და მერეს ეწოდა გეგეჭკორის სახელობის კოლექტივი. პიონერები იღებენ მონაწილეობას საზ-მუშაობაში. მეცადინეობა სისტემატიურად ტარდება, ეწყობა ექსკურსიები და სხვა. ყველაფერი ეს მიეწერება კარგ ხელმძღვანელებს.

ი. შვანგირაძე.



### ჩვენი კოოპერატივი.

ორი წელია, რაც მე-9 შრომის სკოლაში არსებობს კოოპერატივი. ამ კოოპერატივს მოწაფეებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. სასკოლო ნივთებს და საუზმეს მოწაფეები აქედან იღებენ. მართალია, საუზმედ არ არის ცხელი წვნიანი საქმელი, მაგრამ ახლო მომავალში ესეც აუცილებლად გვექნება.

გასულ წელს მოწაფეების კომიტეტიც იღებდა კოოპერატივის მართვლობაში მონაწილეობას, წელს კი კოოპერატივში მუშაობდნენ გამოყოფილი ამხანაგები, რომელნიც ეცნობოდნენ კოოპერატიულ მუშაობას, რასაც მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა სხვა ამხანაგების ჩაბმაც ამ საქმეში და მუშაობის გაგრძელება.

გასულ წელს კოოპერატივი — ღარიბ მოწაფეებს აძლევდა დღიურად 30 კაპეიკის ღირებულების საუზმეს და აგრეთვე ეხმარებოდა სასწავლო ნივთებით. წრეულს კი, არ ვიცით რა მიზეზით, კოოპერატივი მათ აღარ ეხმარება.

წელს განზრახულია კოოპერატივი გადავიდეს მშობელთა წრის ხელში, რაც მეტად სასურველია.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინათ კოოპერატივის წევრთა რიცხვი 60% უდრიდა, წელს კი 30% არ აღემატება. ამიტომ საჭიროა მუშაობის წარმოება ამ ხაზითაც.

ა. ბილანიშვილი.

### კანკარაგით გაჭირვებულთ.

ჩვენთან, ღუნვილი ავეჯეულობის კოლექტივში, იყო ერთი ბიონერი კ. მის მშობლებს ძლიერ უჭირდათ და არ ჰქონდათ საშვალეობა ეყიდათ მისთვის ფეხსაცმელი, უფეხსაცმლოდ კი მას სიარული არ შეეძლო კოლექტივში, ამიტომ აპირებდა კოლექტივის თავის დანებებას, ის კი ძლიერ აქტიური ბიონერია.

ჩვენ დავსვით ეს საკითხი კოლექტივის საბჭოში და გადაწყვიტეთ, რომ ყოველად შეუძლებელი იქნებოდა კ. გაშვება კოლექტივიდან და, რაც გინდა დაგვედომოდა, უნდა დავხმარებოდით. გადაწყვიტეთ შეგვეგროვებია ფული მისთვის ფეხსაცმლის შესაძენად. ამ საქმეში მხარი დავგიჭირა თითქმის ყველა ბიონერმა. მოგვეკონდა, ვის რამდენიც შეგვეძლო, და ამრიგად შევადგინეთ 15 მანეთი. ვუყიდეთ მას ფეხსაცმელი და ის უკვე დადის კოლექტივში და ბეჯითად მუშაობს.

ბავშვობრივ გ—ძე.

### ლაშქრობა ცაიში ა და ხუდი მოკაპროვის წინააღმდეგ.

მე-3 შომის სკოლის კოლექტივმა გადაწყვიტა ჩაეტარებია დავალება: „ბავშვების ცემისა და მათდამი ცუდი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა“. ამოიჩინეს რაიონიც.

ერთ დღეს კოლექტივი წავიდა მეზობელ სახლებში გამოსაკვლევად, თუ როგორ ეპყრობიან მშობლები თავის ბავშვებს და აგრეთვე იმის გამოსაკვლევად, წერა-კითხის რამდენი უცოდინარია ამ რაიონში.

გამოარკვეეს, რომ ძლიერ ბევრი მშობელი უხეშად ეპყრობა თავის ბავშვებს. ასეთ მშობლებთან ჩვენ ჩავატარეთ საუბრები; გამოირკვა, რომ 30 მათგანი წერაკითხვის უცოდინარია, ჩვენს პედაგოგებთან ერთად მომავალში ვაპირებთ ამ 30 კაცს შევასწავლოთ წერა-კითხვა. ჩვენი დავალება ამრიგად ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ამ მუშაობას ჩვენ ჯერ კიდევ განვაგრძობთ.

პიონერი მიშა.

### ვმსჯელობთ ნ. კრუპსკაიას წერილის შესახებ.

ლენინის რაიონის სახელოსნოს კოლექტივში საერთო კრებაზე წავიკითხეთ ნ. კრუპსკაიას წერილი, ვიმსჯელეთ და დასკვნა გამოვიტანეთ, რომ ჩვენი კოლექტივიც ისეთივეა, როგორზედაც სწერს ნ. კრუპსკაია, ე. ი. კოლექტივი არ კითხულობს ვაზეთებს და, რაც მთავარია, ჟურნალ „პიონერს“. სუსტად ვიცნობთ ცხოვრებას. ერთი სიტყვით, მივედით იმ დასკვნამდე, რომ კრუპსკაია მართალია, როცა ამ ბრალდებას უყენებს პიონერებს.

მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეთ შეეცვალოთ ჩვენი კოლექტივის მუშაობა, როცა მივახწევთ ამას, შემდეგ ვაპირებთ მივეწეროთ წერილი ამის შესახებ თვით ნ. კრუპსკაიას.

კოლექტივი.

### კოლექტივი იზრდება.

ჩვენს კოლექტივში, მე-97 შრომის სკოლაში, გაკვეთილების დაწყებამდე პიონერები ყოველთვის ეწყობიან მწკრივში საყვირის ხმაზე და არკვევენ, თუ რა ამოცანები უნდა შეასრულონ დღევანდელ დღეს.

შემდეგ ჩვენ 5 წუთის განმავლობაში ფიზიკურად ვვარჯიშობთ და ისე სიმღერით შევდივართ გაკვეთილებზე.

აი ეს სიახლეა ჩვენს სკოლაში შემოდებული, რასაც შეუძლია დისციპლინის ამაღლება სკოლაში.

როცა სკოლის მოწაფეები ხედავენ ამას, მათ ძლიერ მოსწონთ ეს და ამის წყალობით ჩვენი კოლექტივი თანდათან იზრდება. თითქმის ყოველდღე შემოდის 3-4 განცხადება კოლექტივში მიღების შესახებ.

ბავშვობრივ გ—შვილი.

# იზვიათი მოვლანაჲი.

მომხიბლავია უზარმაზარი ცეცხლის ბირთვი, რომელსაც მზეს ვეძახით და რომელიც გვაძლევს სითბოსა და სინათლეს. მზე ყოველკუთხეზე ჰგზავნის სინათლის სხივებს, უხილავ სინათლის ეთერს, რომელიც სწრაფად მოძრაობს, ირხვეა და ჩვენ თვალებამდე მოდის, რის გამოც ჩვენ სინათლეს ვხედავთ. მაგრამ სინათლის სხივები ყოველთვის სწორედ როდი მოძრაობს: როდესაც მკვრივ ჰაერს შეხვდებიან, გადაუხვევენ, ე. ი. გადატყდებიან.

თუ ჩვენ ჯოხს ჩაუშვებთ წყალში და ზემოდან დავეხედავთ, ის გადამტყდარი გვეგონება, თუმცა ჯოხი მთელია. სწორედ ასევე მზის სხივიც, ჰაერში რომ გადატყდება, ათასგვარ უცნაურ მოვლენას იწვევს.

ასეთ საინტერესო სანახავს წარმოადგენს ფატამორგანა, ანუ მირაჲი. მისი ნახვა შეიძლება სუფთა, უღრუბლო ცაზე, მტკრიანი ქალაქიდან შორს, სადაც ფაბრიკა-ქარხნების მილეები არ ბურავს ჰაერს.

აი, თქვენ მიდიხართ მინდორში შუადღისას, როდესაც მზის მწველი სხივები სწვავს ყოველივეს და უცბად გაშეშდებით გაცოცხლებული: ცაზე ხედავთ ქალაქს, მაგრამ თავდაყირა დაკიდებულს. მიჩერებიხართ, და თვალი ვერ გამძლარა ცქერით. რით არის ეს მოვლენა გამოწვეული? ჰაერში ისევე იხატება ყოველივე, როგორც სარკეში. ქალაქი, რომელსაც თქვენ ცაზე ხედავთ, მართლა არსებობს და შორსაც არ არის თქვენგან. ჰაერის ქვედა შრეები, რომლებიც ქალაქსა და თქვენს შორის არის, სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება ზედა შრეებზე უფრო ცივი იყოს. ასე იქნება, მაგალითად, თუ ქალაქსა და თქვენს შორის არის ტბა, რომელიც ჰაერს სითბოს ართმევს, მზის სხივები, თხელი ჰაერიდან უფრო მკვრივ წყალში რომ გადაიან, როგორც ვთქვით, გადაიხრებიან, გადატყდებიან.


მკვრივი ჰაერი თბილზე უფრო მძიმეა და ამიტომ ძირს არის, თხელი ჰაერი კი ადვილად ადის ზევით. თუ ქალაქი ველზეა, მზის სხივები, მისგან ყველა კუთხით გაფანტულნი, ჰაერის თბილ ზედა შრეებში ადის. გზაზე ეს სხივები ტყდება, იცვლის მიმართულებას და ჩვენამდე მოდის არა სწორი ხაზით, არამედ მრუდით და ამიტომ გვეგონია, რომ ისინი მოდიან არა ველიდან, არამედ ციდან. სინათლის სხივები მოდის მაყურებლის თვალებამდე, და თვალს ჰგონია, რომ ქალაქი თავისუფლად ჰკიდია ჰაერში, ნამდვილად კი ქალაქი მიწაზეა.

ხშირია მირაჲი, ანუ ფატამორგანა, პოლარულ ქვეყნებში. ერთხელ პოლარულ ზღვაში მეზღვაურნი საშინლად შეშინდნენ: მათ ცაზე დაინახეს ხომალდი „ფრამი“, რომელსაც რამდენიმე საათის წინ დაშორდნენ. მათ ეს ცუდ ნიშნად მიიღეს და ეგონათ, რომ ხომალდი იღუპებოდა და მეგობრები მათ უკანასკნელ სალამს უგზავნიდნენ, მერე კი გამოირკვა, რომ ამ დროს „ფრამი“ მათგან 7 მილის მანძილზე იყო სრულიად უვნებელი.

თუ ჰაერის ზედა შრეები ქვეითა შრეებზე უფრო თბილია, მაშინ სინათლის სხივები, ხომალდიდან რომ მოდიან, ზედა თბილ და თხელ შრეებში იძლევა ისეთ ანარეკლს, როგორც სარკე, კერზე შიკრული, რომელშიც ჩანს იატაკზე დაყრილი ნივთები. ხანდახან საგანი ორ ანარეკლს იძლევა—სწორს და უკუღმის.


განსაკუთრებით ხშირი და მეტისმეტად უცნაურია მირაჲი უდაბნოში. აი, დალილი ქარავენი მოუთმენლად ელის წყალს. ხალხიც და ცხოველებიც წყურვილით გიჟდებიან. აქლემები ძლივს მიიფხორებიან ილაჯგაწყვეტილნი. და უცბად ყველას გული შეტოკდება სიხარულით: შორს მოჩანს ხეები, ხეების ძირში კი წყალი, ვინაიდან ხეების ანარეკლი ჩანს მასში. ქარავენი იკრებს უკანასკნელ ძალ-ღონეს და მიისწრაფის ნანატრი ოაზისისკენ, რომ ხარბად დალიოს წყალი, მოიკლას წყურვილი და დაისვენოს. მაგრამ... ვაი უბედურებაგ! ეს მხოლოდ მოჩვენება იყო!.. ირგვლივ მცხუნვარე მზისგან გახურებული ქვიშაა და წყლის ნიშანიც კი არ არის. სინამდვილეში ეს ხეები და წყალი ამ ადგილიდან საკმაოდ შორსა, მაგრამ ამ ხეებიდან მომავალ სინათლის სხივებს უდაბნოს მწველი მზისგან გახურებული ჰაერის ქვედა შრეები ისე უკუსტყორცნის, როგორც სარკე. მოგზაურნი ხედავენ ამ ხეებს თავდაყირა დაკიდებულს, თითქოს წყალში მოჩანდეს ისინი.

ზოგ ადგილებში ჰაერს მეტად დიდი სარკისებურობა აქვს და ანარეკლი სინათლე ხშირია. მაგალითად, ინგლისში, გასტინგში ჰაერში ხშირად ჩანს საფრანგეთის ნაპირები, კალაბრიაში კი—სიცილია. კუნძულ ალიასკაზე კი მწველ ზაფხულში, დილაადრიან, ჩანს ქალაქი ბრისტოლი თავისი კოშკებით და სამრეკლოებით, ალიასკიდან ბრისტოლამდე კი ძალიან დიდი მანძილია—5000 მილი.



მირაჲი პოლარულ ზღვაზე.

ძალიან საინტერესო ატმოსფერული მოვლენაა ხანდახან მთებში, განსაკუთრებით დილ-დილობით, მზის ამოსვლის წინ, როდესაც სქელი ნისლი ამოდის ზევით ხეებიდან. ეს მოვლენაა ე. წ. „მთის სული“, ანუ ბროკენის აჩრდილი—ასე ეძახიან, ვინაიდან ძალიან ხშირად შეიძლება ამ სურათის ნახვა ბროკენის მწვერვალზე, გარკვეულ აი, თქვენ ადინხართ ბროკენის მთაზე და უცბად ხედავთ, რომ თქვენს წინ ნისლში აღინათება უზარმაზარი შავი გოლიათი, რომელიც თქვენსავით მიაბიჯებს და საერთოდ, ყოველივე იმას აკეთებს, რასაც თქვენ. ეს შემთხვევა პირველად ძალზე შეგაკრთობს, მაგრამ, ალბათ, მალე მიხვდებით, რომ ეს გოლიათი თქვენი აჩრდილია, თქვენი ლანდია, რომელიც იხატება ნისლის სქელ კედელზე მზის სხივების ზეგავლენით. ხანდახან ამ ლანდის ფერადი რგო-



ლები აქვს ირგვლივ. ეს იმის გამო ხდება, რომ მზის სხივები ტყდება ნისლის, ღრუბლის პატარა ბუშტებსა და მტვერში, რომელიც ახვევია მაყურებელს, ფერადი ხდება, და მაყურებელი ნაირ-ნაირი ფერის რგოლებს ხედავს.

ასეთივე რგოლებია ხშირად მზისა და მთვარის გარშემო და ჰალო ჰქვიათ. მთვარის ჰალო ხშირია პოლარულ ქვეყნებში და ჭრელ რგოლებს წარმოადგენს. რგოლის შიგნითა მხარე, მთვარისკენ მიმართული, წითელია, გარეთა კი—ლურჯი, ან იისფერი. ხანდახან ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ლენტები აერთებს ამ რგოლებსა და მთვარეს, ან მზეს. ასეთი ჰალო 5—10 წუთს ჩანს, მერე ქრება. რა იწვევს ჰალოს?—ყინულის თხელ ნემსებში, რომლებიც ჰაერის ზედა ფენებში დაფრინავენ, მზის სხივების გარდატეხა. ასეთი ნემსები კი ბევრია ჰაერში პოლარულ ქვეყნებში.

ძალიან საინტერესოა აგრეთვე წმინდა ელმის ცეცხლი, მაგრამ ეს ელექტრონის მოვლენაა. ხანდახან სამრეკლოს ლითონის წვერიდან სინათლის სხივების კონა აღის. ამას ჰქვიათ წმ. ელმის ცეცხლი. როდესაც ელექტრობით ძლიერ დატვირთული ღრუბლები გაივლიან მიწის ზედაპირის ახლოს, ისინი ელექტრობას იწვევენ მეტორიდებში, ხომალდების ანძებზე. ცრუმორწმუნე მეზღვაურებს ეს რაიმე უბედურების ნიშნად მიაჩნიათ.

პოლარულ ქვეყნებში მეტად საინტერესო საყურებელია. ე. წ. ჩრდილოეთის ნათება, რომლის ყურებით პირდაპირ ვერ ძღებთან. ამ ნათებას ხან უზარმაზარი გაშლილი სხივოსანი ლენტის სახე აქვს, ხან სხივოსანი გვირგვინის. საუბედუროდ, ამ მოვლენის საიდუმლოება საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის ახსნილი მეცნიერების მიერ.

შ. თ.

### როგორ კეთდება წიგნი.

*Handwritten text in Georgian script, likely a draft or a collection of notes related to the article's title. The text is dense and includes various corrections and annotations.*

ახლა ნახეთ, რა ადვილი საკითხავია: ეს უკვე ნაბეჭდია.  
**როგორ იყო უწინ.**  
იყო დრო, როცა ადამიანი იჯდა და ხელით სწერდა დიდ სქელ წიგნებს.  
წლობით იწერებოდა ასეთი წიგნები. მთელ დღეს იჯდა ადამიანი და სათითაო ასო გამოჰყავდა. ერთი თავის გათავების დროს, მეორე თავს რომ დაიწყებდა, ისე გაუხარდებოდა, რომ პირველ ასოს,

რომლითაც თავი იწყებოდა, რას არ გაუკეთებდა: ასოს ბოლოს მოუკაუჭებდა, ან ისრებს და ბურთულებს გაუკეთებდა და წითელი ფერითაც შეალამაზებდა.  
არ ეჩქარებოდა, დიდი ხნის საქმე იყო. დაწყებითი ასო სადგურს ემსგავსებოდა: აქ უსათუოდ უნდა შეჩერებულიყო. ისეთი გადამწერებიც კი იყვნენ, რომ მხატვრობას გამოიჩინდნენ და ამ ასოს პატარა სურათს მიახატავდნენ.

გადამწერს ათასეული ასო უნდა დაეწერა  
ახალ სადგურამდე.

დიდი ხელოვანი იყენებს ეს გადამწერნი!

ესხლა რომ ზოგ ძველ წიგნს უყურებ, არ გჯე-  
რა, რომ ეს ხელით არის დაწერილი: ისეა, თითქოს  
დაბეჭდილიაო.

ჯერ კიდევ ძველ დროს იცოდა ადამიანი  
ბეჭდვა — ბეჭედი: რომელიმე მხეცის სახეს ამოჭრი-  
დნ ხოლმე ძვრფას ქვაზე. ამ ამოჭრილ ქვას ჩასვამ-  
დნ ოქროში და ხელზე ატარებდნ, ან როცა და-  
სწერდნ ხოლმე წერილს, გაღესავდნ წერილს  
სანთლით და მერე ამ სანთელზე დაჭერდნ ქვას.  
სანთელზე გამოიხატებოდა ბეჭდის სახე. ასევე შეი-  
ძლება ასოს ამოჭრა; რასაკვირველია, მაშინ სანთელზე  
ასო აღიბეჭდება. ესხლა წერილს ლუქით ბეჭდავენ,  
და ბეჭედს სჭრიან ქვაზე კი არა, სპილენძზე.

უცბათ არ მოსვლია ადამიანს თავში, რომ გაე-  
კეთებინა სპილენძის ამობურცული ასოები, წაესვა  
ზედ საღებავი.

ჩვენ ვიცით, რომ ძველად ქვების მურზე გა-  
სვრილ თითს დაადებდნ ხოლმე ბეჭდის მ-გეირად  
ქალაქზე. რადგან იშვიათი იყო წერა-კითხვის  
მცოდნე, — ძველად ხშირად მეფეებმაც არ იცოდნ  
წერა, — და ამიტომ რომელიმე სიგელზე თითის  
ხაზებს აღბეჭდავენ. ისეც ამბობდნ: „ამა სიგელს  
ანუ ბოძების ქალაქს ხელი დავადევით“ და დიდ-  
ხანს თავში არავის არ მოსდიოდა, რომ თითის მა-  
გივრად ამოჭრილი ასოთი ესარგებლათ.

**მიხვდა ადამიანი.**

ბოლოს ერთი გერმანელი—გუტენბერგი—მიხ-  
ვდა. ეს 500 წლის წინათ იყო. მან გააკეთა ამო-  
ჭრილი ასოები, დაალაგა ისინი ერთად, რომ სიტყვა  
გამოსულიყო, წაუსვა საღებავი და დაჭირა ქა-  
ლაქს—სიტყვა დაიბეჭდა. რა გახარებული იქნებოდა  
პირველად გუტენბერგი, როცა ცდა მას ასე კარგად  
ჩაუვლიდა! ესხლა აკეთებენ ასეთ ბეჭდებს თითოეულ  
ასოთი. ასოებს ასხამენ ერთნაირ ლითონისგან  
რომელსაც „გარტი“ ეწოდება „გარტი“ ერთად  
შედუღებული ტყვია და თითბერთა.

აი ასეთ ოთხკუთხედ კოლოფში აქვთ ასო.  
ასოს სხვადასხვა სიდიდისას აკეთებენ. მსხვილი  
ნაბეჭდისთვის დიდს და მეტად წვრილისთვის კი  
ძალიან პატარას. აი სანიმუშოდ ხუთი სხვ დასხვა  
სიდიდისა „ა“ „ა“ „ა“ „ა“ „ა“ ხოლო აფი-  
შებისათვის კი ისეთი უშველებელი ასოებიცაა, რომ  
იმათი ნახევარიც კი არ დაეტყვა ამ ფურცელზე.

მაგრამ უფრო საინტერესოა, თუ როგორ ხდება  
ბეჭდვა. ნუთუ თითოეული ასო ერთად ჩაწოთ საღე-  
ბავში და მერე ქალაქს დავკრათ? ეს რომ საშინელია  
იქნებოდა! აი თითოეული ასოთი დაბეჭდეთ წიგნი!

რამდენსაც გინდა ეცადოთ, მაინც უსწორ  
მასწორი გამოვა. მაშინ უკეთესია აილოთ კალამი და  
კალამით სწეროთ, — როგორც დასაწყისში იყო, და  
საქმე ჩქარა გათავდება.

მაგრამ მთავარი ხომ ისაა, რომ ათასი და ხან  
რ მდენიმე ათასი ერთნაირი წიგნი უნდა დაიბეჭდოს.  
მაგალითად, დახედეთ ყდაზე, რამდენი ათასი იბეჭ-  
დება ჟურნალი „პიონერი“.

სტამბა იმით არის ძლიერი, რომ 50000 ცალს  
დაბეჭდავს და ძალიან ჩქარაც. რასაკვირველია, სტამ-  
ბაში თითოეული ასოთი კი არ ბეჭდვენ, იქმთელი  
მწკარის სიგრძის დიდ ბეჭედს ადგენენ; ასოს ასოს  
უმატებენ, რომ საჭირო სიტყვა გამოვიდეს; სტრი-  
ქონს სტრიქონს უმატებენ და მთელ გვერდს ადგე-  
ნენ. ესხლა ისლამ საჭიროა, რომ ამ ბეჭედს წაუსვან  
საღებავი. — მაგრამ დაპკრავენ ქალაქს თუ არა ეს  
აწყობილი მთელი სტრიქონი ხომ დაიშლება! ან  
როგორ შეიძლება ასე აწყობილი ასოების აღება.  
აშკარა ა, რომ ასოებს კი არ დაარტყმენ ქალაქს,  
არამედ ქალაქს დაარტყამენ ასოებზე. მაშინ ქა-  
ლაქზე იბეჭდება მთელი სტრიქონი ერთბაშად.

**ს ა ბ წ კ რ ე.**

აი უბედურობა: მეტად ძნელია ასოებს ბეჭა-  
რად დალაგება ისე, რომ ყველა ასო თანასწორი  
იყოს. ეს ისე უბრალო საქმე არ არის. აქ მარტო  
ფერხეარ არის დამოკიდებული.

აი შესძელით ამის წაპოხვა, უხეცხულია არა?

მს მხოლოდ ერთი სტრიქონია მთელი  
წიგნი რომ ასე იყოს?


უნდა გამოეგონათ რამე, რომ ასოები სწორედ  
დამდგარიყო ლარივით. ამიტომ გამოიგონეს საბწკრე.  
ეს რკინის ჯოხია. წინა კედლები მას არ აქვს.  
მასში აწყობენ ლითონის ასოებს. ასოები მჭიდროდ  
ეწყობიან ძირზე. ძირი მას სახანავივით სწორე აქვს  
ისე, რომ ასოები სწორედ ეწყობიან, თანაბრად.  
ძირს მარცხენა მხარე მოძრავი აქვს, შეიძლება მისი  
სურვილისამებრ სხვადასხვა ადგილს გაჩერება. ამით  
დაგრძელება და დამოკლება შეიძლება. თუ გვერდი  
განიერია და სტრიქონები გრძელი უნდა იყოს,  
მაშინ გვერდი მარცხნივ იწევა საბწკრეთი. ესხლა  
ასოების აწყობაა მხოლოდ საჭირო. აწყობს ასოებს  
სპეციალისტი — ასოთამწყობი.

მარცხენა ხელში მას უჭირავს საბწკრე, მარჯვე-  
ნათი აწყობს ასოებს.

ნუთუ თითოეულ ასოს გასინჯვა უნდა, თუ  
რომელია? ხომ შეიძლება 5 მაგივრად 3 ჩაუტოთ?  
ნუთუ ყველა ასოს გასინჯვა უნდა, სანამ საბწკრეში  
მოხვდებოდეს? ეს მეტად აუტანელი სამუშაო იქნე-  
ბოდა, მეტადრე მაშინ, როცა წვრილი ასოები  
იქნებოდა ასაწყობი: ხომ დაბრმავდებოდა ამწყობი,  
სანამ ერთ გვერდს ააწყობდა.

(გაგრძელება შემდეგ)

ნ. უიტკოვი.





# თავდაცვა



## სამხედრო კითხური ომი.

### „ქალაქი საშიშროებაში იმყოფება“.

თამაშობა წარმოადგენს ომის სურათს, თუ როგორ იცავს მოსახლეობა თავს ავიოქმიური თავდასხმის დროს. მონაწილეთა შორის უნდა განაწილდეს შემდეგი როლები:

#### წითლების მხარე:

ირჩევენ თავდაცვის უფროსს; მას ჰყავს ერთი ტელეფონისტი, ერთი მეშტანგე („სიგნალისტი“) და ათი კაცისაგან შემდგარი რაზმი—გაზეებით მოწამლული ადგილების გასაწმენდად. გარდა ამისა, წითლებს ჰყავთ კიდევ ყარაულის უფროსი და 10 ყარაული (ორი შეცვლა, თითო შეცვლაში ხუთ-ხუთ კაცია). ყარაულებთან იმყოფება კიდევ 5 ტელეფონისტი, ან 5 ველოსიპედისტი, ყოველი პუნქტისათვის თითო კაცი (ნაცვლად ველოსიპედისტებისა შესაძლებელია დავაყენოთ კარგი მორბენალები). საჭიროა კიდევ 10 ინსტრუქტორი.

დანარჩენი პიონერები მოსახლეობას წარმოადგენენ.

#### თეთრების მხარე:

10 აეროპლანი (მათი ხმაურობა შეიძლება „ტრე-შოტკეებით“ გამოვხატოთ). გარდა ამისა, საჭიროა 5 შუამავალი, რომლებიც თავდაცვის ადგილებზე თამაშობის წესიერ მსვლელობას.

თამაში იმით დაიწყება, რომ თავდაცვის უფროსს აცნობებენ ომის გამოცხადებისა და ქალაქზე მტრების მიერ თავდასხმის მზადების შესახებ.

ამავე დროს თეთრების 5 აეროპლანი (ნ პიონერი „ტრეშოტკეებით“) გაემგზავრება წინამძღოლის მიერ წინასწარ არჩეულ ადგილზე.

თავდაცვის უფროსი უბრძანებს მეშტანგეს განგაში ასტეხოს. ნიშნის მიღებისთანავე იკრიბება ყველა მონაწილე, გარდა თეთრებისა, და მათ აცნობებენ მტრების მიერ თავდასხმის მომზადების შესახებ.

თავდაცვის უფროსი უბრძანებს ყარაულის უფროსს, 10 ყარაულს, ტელეფონისტებს და ველოსიპედისტებს განაწილდნენ ქალაქის (სოფლის) 5 სხვადასხვა პუნქტზე.

მათ ევალეობათ თვალყური ადევნონ მტრების აეროპლანების მოძრაობას და, თუ შეამჩნიეს მტრების აეროპლანები, დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ.

თავდაცვის უფროსი ნიშნავს აგრეთვე 10 ინსტრუქტორს, რომლებიც ამოწმებენ მოსახლეობის ცოდნას ქიმიური ომის დარგში და ათვალთვლებენ განგაშის საწინააღმდეგო ნიშნებს (რომლებსაც წარმოადგენენ ფართო ცხვირ-სახოცები).

ორი ან სამი კაცი ინიშნება თავშესაფრის მოსაწყობად. ამ მიზნისათვის კარგია კლუბი, ან კოლექტივის ოთახი.

როდესაც წევრები მოსახლეობას გამოუცხადებენ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, გამოარკვევენ მათ ცოდნას, ისევე გაუშვებენ სახლებში ჩვეულებრივი მუშაობის განსაგრძობად.

განსაზღვრულ დროზე, რომელიც ცნობილია მხოლოდ 5 თავდამსხმელი ავიატორისა და შუამავლისათვის, აეროპლანები გაემართება ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მდებარე სადარაჯოებისაკენ (თითოეული აეროპლანი ცალკე სადარაჯოს ესხმის). აეროპლანის ხმაურობას „ტრე-შოტკეებით“ გამოხატავენ.

შენიშნავენ თუ არა ტელეფონისტები ან ველოსიპედისტები, მყისვე აცნობებენ თავდაცვის უფროსს თავდასხმის შესახებ. უფროსი უბრძანებს განგაშის ატეხას. მოსახლეობა სასწრაფოდ იკეთებს ნიღაბებს და იმალება შენობებში. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალაქში შემოდის დანარჩენი 5 აეროპლანი და ბომბებს გადმოაგდებს (ბომბების ნაცვლად მაშხალებს ისვრიან). ატყდება სროლა. აეროპლანებს განდევნიან, ინსტრუქტორები ბომბების გახეთქის ადგილზე ყრიან ქლორიან კირს. ამის შემდეგ მოსახლეობას აცნობებენ შტანგით, რომ შესაძლებელია გარეთ გამოსვლა. „მოწამლულებს“ რაზმი თავშესაფარში ათავსებს (სანიტარული სადარაჯო).



გამოდის

1928 წ.

გამოდის

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

→ შ უ რ ნ ა ლ ი ←

მ ო წ რ დ ი ლ თ ა თ მ ი ს

# პ ი ო ნ ე რ ი

წ ა ლ ი წ ა ლ ი III

შურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების უოველი წევრის, ორგანიზაციის უოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებას გამოიწერონ

## == პ ი ო ნ ე რ ი ==

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

შურნალი ღირს გადაგზავნით.

წელიწადში — 5 მან.

ექვს თვეს — 3 მან.

სამ თვეს — 1 მაპ. 50 კან.

ცალკე ნომერი — 25 კპპ.

მისამართი: ტფილისი, წესთფელის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ოქტობრული“-ს რედაქცია.

გადაცემორი — სარკლავსიო კოლაგია.